საერთო გაზეთი

№12 (423) • 29 მარტი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

„ატამან“ გვარამიას ბოლო „სხადნიაკი“

ამ შეხვედრაზე „რუსთავი-2“-ის, როგორც თვითონ უწოდებენ თავის თავს, სიმართლისთვის მებრძოლი, ობიექტური, მიუკერძოებელი ჟურნალისტებიდან არცერთს არ დაუსვამს კითხვა: კი, მაგრამ, ამ ქონებას რომ ვიყოფთ, ვისი ქონებაა ეს და რა უფლებით გვჩუქნიან მას ქველმოქმედების ხასიათზე დამდგარი ძმები ყარამანაშვილებიო?

მამუკა მდინარაძე:

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ჩვენს მიერ მიღებული კანონი ყველაზე დახვეწილი კანონია

არნო ხიდირბეგიშვილი:

საქართველოს სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ მარგველაშვილი დაინიშნა?

მზადდება „ვარდების რევოლუცია-2“

დემურ გიორხელიძე:

90-იან წლებში ქართველებს ეკონომიკურ ვეფხვობას გვიწინასწარმეტყველებდნენ, ჩვენ კი ვირთხებად ვიქეცით

ლიმონა, ფურუნკულები და მეწველი ძროხა, სახელად სახელმწიფო

გურამ პეტრიაშვილი:

ილია ყვარელში რომ იყოს დაკრძალული, აკაკი - სხვიტორში, ვაჟა - ჩარგალში, ერთი კი არა საქართველოში გაფანტული უამრავი პანთეონი გვექნებოდა...

რა აზრი აქვს ვიზალიბერალიზაციას, თუ ამას ევროპიდან ქართველების მასობრივი დეპორტაცია მოჰყვება?

მომავლის მსოფლიო – ელექტრონული საკონცენტრაციო ბანაკი ადამიანებისთვის

„ატამან“ გვარამიას ბოლო „სხადნიაკი“

ძმებ ყარამანაშვილებსა და ნიკა გვარამიას შორის შავმა კატამ გაირბინა.

შავი კატის ამბავი კი კარგად მოგეხსენებათ — ერთხელ რომ გაირბენს, მერე არ ჩერდება — გარბის და გამორბის, გარბის და გამორბის და მანამ არ მოისვენებს, სანამ დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთისთვის ცხვირ-პირს არ დაანაყინებს.

მოვლენათა განვითარების ლოგიკას თუ დავუჯერებთ, ნიკა გვარამიას დიდი ქოთი ელოდება, რაც, შეიძლება, კაი მამაპაპური ჭიტლაყით და პატივცემული დირექტორის „რუსთავი-2“-იდან გამოგდებით დამთავრდეს.

ნიკა გვარამიას, როგორც ჩანს, კატეგორიულად არ სურს, დაეთანხმოს ყარამანაშვილების წინადადებას, რომ „რუსთავი-2“-ის 51 პროცენტი მთელ კოლექტივზე თანაბრად გადანაწილდეს და ყარამანაშვილებს თავის ვერსიას სთავაზობს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა გვარამიას სასოწარკვეთილებამდე მოსული მცდელობა, როგორმე შეინარჩუნოს „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის პოსტი.

გასულ შაბათს ამ მიზნის მისაღწევად და გასაფორმებლად გვარამიამ ნამდვილი ცირკი მოაწყო, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცა.

ამ ცირკის მნახველი ყარამანაშვილები

ისე გაცოფებულან თურმე, რომ გვარამიასთვის სულ ტაკიმასხარა ავანტურისტი უძახიათ და მისგან „რუსთავი-2“-ის გენდირექტორის პოსტის სასწრაფოდ დატოვება მოუთხოვიათ, რაზეც გვარამიას ჩვეული უტიფრობით უპასუხია: — მე რომ არ ვყოფილიყავი, „რუსთავი-2“ კარგა ხნის წინათ ექნებოდა წაღებული ხელისუფლებას, ეს ტელევიზია მე შევინარჩუნე და ჩემს აქედან გაგდებას არავის ვაპატიებო.

ნიკა გვარამია, რომელიც ზედმიწევნით კარგად არის ჩახედული არა მარტო „რუსთავი-2“-ის, არამედ მთლიანად „ნაცმოძრაობის“ ბნელ და კრიმინალურ ისტორიებში, ნამდვილად საშიში და სახიფათო მოწმეა, რომელმაც, თუ პირი გააღო, ისეთ კოშმარულ ამბებს დაფქვავს, „ნაცმოძრაობას“ და „რუსთავი-2“-ს შეიძლება მათი ერთგული მხარდამჭერებიც კი გამოეკიდონ ქვით და კეტით.

თუმცა, როგორც ვარაუდობენ, გვარამია ამის გაკეთებას ვერ გაბედავს, რადგან ყველა ამ ბნელ და კრიმინალურ ისტორიაში თვითონ არის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, რომელზეც უამრავი კომპრომატი არსებობს და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მასაც ისევე მოუწევს პასუხისმგებლობა, როგორც სხვებს.

შაბათს გამართული „რუსთავი-2“-ის თანამშრომელთა შეხვედრა „ატამან“ გვარამიას მეთაურობით, რაღაცით ძალიან ჰგავდა ნადავლის გაყოფის სცენებს, რომლებიც მრავლად გვინახავს კინოფილმებში.

სამწუხაროდ, ამ შეხვედრაზე „რუსთავი-2“-ის, როგორც თვითონ უწოდებენ თავის თავს, სიმართლისთვის მებრძოლი, ობიექტური, მიუკერძოებელი ჟურნალისტებიდან არცერთს არ დაუსვამს კითხვა: კი, მაგრამ, ამ ქონებას რომ ვიყოფთ, ვისი ქონებაა ეს და რა უფლებით გვჩუქნიან მას ქველმოქმედების ხასიათზე დამდგარი ძმები ყარამანაშვილები? მოდით, ჯერ გაირკვეს, ვისი საკუთრებაა ეს ტელეკომპანია და წილების გაყოფაზე მერე ვილაპარაკოთ.

„რუსთავი-2“-ის არცერთ ჟურნალისტს, არცერთ თანამშრომელს არ უთქვამს ეს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ „რუსთავი-2“ მთლიანად ისეთივე ადამიანებით არის დაკომპლექტებული, როგორიც ბრძანდება მათი შეფი გვარამია.

დაბოლოს: „რუსთავი-2“-ის თანამშრომლებმა დიდი ზარ-ზეიმით რომ მიიღეს ყარამანაშვილების წინადადება, რატომ არავინ დაფიქრდა იმაზე, რომ ამ წილის ოფიციალურად გადაფორმება და დაკანონება ვერანაირად ვერ მოხდება, სანამ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ეკუთვნის არა ყარამანაშვილებს, არამედ ქიბარ ხალვაშს.

სანამ ეს განაჩენი არ გაუქმდება, მანამდე რეესტრში ვერ გაჩნდება ჩანაწერი წილების ახალი გადანაწილების შესახებ.

ეს ნამდვილად ასეა და თუ ეს ასეა, თქვენ რაღას ზეიმობდით, გვარამიავ და „სასტავო“, კიდევ ერთხელ რომ მოიჭერით თავი საქვეყნოდ და თქვენი ნამდვილი სახე რომ ბოლომდე გამოაჩინეთ?

ვახტანგ ხარჩილავა

ქვეყანა უნდა მოემზადოს დანერგოს ევროკავშირის სტანდარტები

ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილება ერთ-ერთია იმ ხელშესახებ სიკეთეთაგან, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების შედეგად ღებულობენ. სასიხარულოა, რომ ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი სწორად აღიქვამს ევროკავშირს, მის ჭეშმარიტ ღირებულებებს და მასთან დაახლოების შედეგად მიღებულ სარგებელს. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს თანამემამულეებს კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ევროკავშირის კონკრეტული პროექტების, პროგრამებისა და დახმარების შესახებ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხორციელდება და მომავალში კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს.

საქართველოს მთავრობის ძალისხმევამ ევროკავშირის უწყვეტი მხარდაჭერის პირობებში თვალსაჩინო შედეგები გამოიღო და დღეს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა დარგში ევროპული ნორმები და სტანდარტები მკვიდრდება. ამ პროცესმა დიდი სტიმული მისცა საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებს. წინასწარი მონაცემებით, 2016 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3.6 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14 %-ით მეტია. ამასთან, ევროკავშირის ქვეყნების წილმა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30% შეადგინა.

საქართველო წარმატებით სარგებლობს ევროკავშირის რეგიონული პროგრამებით ენერგეტიკის (INOGATE), ტრანსპორტის (TRACECA), გარემოს დაცვის და სხვა სფეროებში.

ევროკავშირი საქართველოში თემატურ ინსტრუმენტებსაც ნერგავს, როგორიცაა მაგალითად პროგრამა ERASMUS+. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ხელმისაწვდომია, როგორც სხვადასხვა სახის სტუდენტური სასწავლო პროგრამები, ასევე პროგრამები დოქტორანტებისათვის და უნივერსიტეტების აკადემიური წრეებისათვის. ERASMUS+ პროგრამით აკადემიურ პერსონალს ეძლევა საშუალება დახვეწონ სასწავლო პროგრამები და წაიკითხონ ლექციები სხვადასხვა დისციპლინაში ევროპის უნივერსიტეტებში.

ჩვენი ამბიციაა, საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის კი, ჩვენ გვჭირდება რომ ქვეყანა მაქსიმალურად მოემზადოს პრაქტიკული თვალსაზრისით - დანერგოს ევროკავშირის სტანდარტები და მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირს.

ჩვენ გვაქვს გეგმა და მზად ვართ ძალისხმევა არ დავიშუროთ მის განსახორციელებლად.

მიხეილ ჯანელიძე
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მამუკა მდინარაძე:

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ჩვენს მიერ მიღებული კანონი ყველაზე დახვეწილი კანონია

მმართველი გუნდის საკანონმდებლო ინიციატივა ფარული მოსმენა-მიყურადების ორგანაღებიანი სისტემის შესახებ, პოლიტიკურ ოპონენტებს შორის კვლავაც მწვავე დაპირისპირების მიზეზი ხდება. საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მამუკა მდინარაძე:

— გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს სამართლის ისტორიაში, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონი მსგავსი გადაზღვევის მექანიზმებით აღჭურვილი არასოდეს ყოფილა. როდესაც პრეზიდენტისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ვეკითხებით, ეს კანონი აქამდე არსებულ ყველა კანონს ჯობია თუ არა, პასუხი არა აქვთ. ასეთი მაღალი კომპეტენციის ადამიანებს უბრალოდ, პირდაპირი ტყუილის

თქმა არ სურთ და არც იმის აღიარება უნდათ, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ეს ყველაზე დახვეწილი კანონია. როდესაც ვეკითხებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი ორგანო აღმასრულებელი „ქუდის“ ქვეშ უნდა იყოს თუ არა, ვერც ამაზე გვპასუხობენ, რადგან მსოფლიოში სხვა პრაქტიკა არ არსებობს. ყველაფერი დანარჩენი კი გარკვეული ინსინუაციებია იმისთვის, რომ მოქალაქეებს ეგონოთ, რომ ცუდი კანონია და მისი გამოყენება სხვანაირად შეიძლება. ორი წლის წინანდელ პერიოდში, ჩვენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მსგავსად, უშიშროების სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურა გვქონდა, მაგრამ პოლიტიკური ნება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ადამიანებს იმის შეგრძნება აღარ ჰქონოდათ, რომ უსმენენ. ორი წლის წინ, ამას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი დაემატა, რამაც სისტემა უფრო დახვეწა. ახლა კი საუბარია ცელკე სიპზე, რომელიც საჯარო სივრცეში დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი ხარისხის მქონე იურიდიული წარმონაქმნია და რომლის ხელმძღვანელელს თანამდებობაზე პრემიერ მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს.

— კანდიდატურას ვინ წარადგენს?

— უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, რადგან კოორდინაციის გაწყვეტა უსაფრთხოების გაზრდილ რისკებს ნიშნავს, მაგრამ მის შერჩევაში მონაწილეობს სახალხო დამცველისა და სასამართლოს წარმომადგენლების და პარლამენტის სამი წამყვანი კომიტეტის ხელმძღვანელისგან შემდგარი კომისია. შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ ლეგიტიმაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი დაწეულია, მტკნარი სიცრუეა.

— თუ ასეა, არასამთავრობოების პროტესტის რეალური მიზეზი რა არის?

— არასამთავრობო სექტორის სპექტრი ძალიან ვრცელია, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, ძირითადად, რამდენიმე გამოკვეთილი არასამთავრობო ორგანიზაცია გამოთქვამს შეშფოთებას. თავის დროზე, სწორედ მათ შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი, რომელიც დაკმაყოფილდა. სასამართლოს ნებისმიერი შტოს მიმართ, ეს იქნება საერთო სასამართლოების რომელიმე ინსტანცია თუ საკონსტიტუციო სასამართლო, უდიდეს პატივისცემას ვაფიქსირებ. რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებაში წერია,უნდა აღსრულდეს, მაგრამ კრიტიკის უფლება ყველას და მათ შორის, პოლიტიკოსებსაც გვაქვს. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გადაწყვეტილებაში პრაქტიკულად, სიტყვა-სიტყვით გადაიტანა არასამთავრობოების სარჩელი. რაც არ უნდა პარადოქსული ჟღერდეს ჩაწერა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანო არ უნდა იყოს გამოძიებით პროფესიულად დაინტერესებული და არ უნდა ჰქონდეს გამოძიების ფუნქცია. ფორმალური და პრაქტიკული თვალსაზრისით, ჩვენ ამ პარადოქსიდან და ჩიხიდან გამოსავალი უნდა გვეპოვა და სწორედ ეს გამოსავალია კანონი, რომელიც მივიღეთ. მნიშვნელოვანია, რომ საქმე მხოლოდ მოსმენებს კი არა, სხვადასხვა ფარულ საგამოძიებო პროცედურებსაც ეხება, რომელიც ამ ორგანომ უნდა განახორციელოს და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ორგანოს, რომელმაც ფარულად საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩაატაროს, გამოძიების ფუნქცია არ უნდა ჰქონდეს და ასეთი პროფესიული ინტერესიც არ უნდა ჰქონდეს. ალბათ, მათი აზრით, ყველაფერი გამართული იქნებოდა, ასეთი ფუნქცია რომ განათლების სამინისტროსთვის მიგვეენიჭებინა. მსოფლიოში არ არსებობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელი ორგანიზაცია, სტრუქტურა თუ სისტემა, რომელსაც უსაფრთხოების სამსახურებთან კავშირი მთლიანად გაწყვეტილი აქვს. პირიქით, ევროპის რამდენიმე ქვეყანამ, მაგალითად, ინგლისმა რეგულაციების გამკაცრება დაიწყო.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს აბსოლუტურად გაწყვეტილი კოორდინაცია უსაფრთხოების სამსახურებსა და ამ ტიპის საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარაებელ სტრუქტურას შორის. იმ პირობებში, როცა ტერორიზმი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევად რჩება, ვერც ერთი პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება ვერ დაუშვებს, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას პრობლემა შეექმნას და ამ მხრივ, რისკები გაიზარდოს.

— ამასწინანდელმა ბათუმის მოვლენებმაც დაადასტურა, რომ უსაფრთხოების მხრივ, გარკვეული პრობლემები და რისკები ჩვენთანაც არსებობს..

— ეს პატარა ეპიზოდი არც მინდა შევადარო იმ უბედურებას, რაც თუნდაც, ახლახან ბრიტანეთში მოხდა. ეს არის თანამედროვე სამყაროს გამოწვევა და ჩვენ ამ დროს გვთავაზობენ, რომ

უსაფრთხოების სამსახურებისგან აბსოლუტურად დისტანცირებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელი ორგანო გავაკეთოთ. პარალელურად, საინფორმაციო საშუალებებში გამუდმებული საუბრები მიდის იმაზე, რომ გვისმენენ და ა.შ. რაც უფრო ღრმად შევდივართ ამ მსჯელობებში, მით უფრო დიდ პარადოქსებამდე მივდივართ.. კი ბატონო, ჩვენ დავყევით საკონსტიტუციო სასამართლოს ნებას, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობდა, მაგრამ უსაფრთხოების სამსახურებთან კოორდინაციის მთლიანად გაწყვეტა მიმაჩნია, რომ დამღუველია.

— ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შეიძლება თუ არა, ასეთი პოზიცია ქვეყნის უსაფრთხოებაზე იერიშის მიტანად შეფასდეს?

— თავს უფლებას არ მივცემ, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე, მით უმეტეს, ასეთი მაღალი კვალიფიკაციის ადამიანებზე ეჭვებით ვისაუბრო, უბრალოდ, ამ ადამიანებს ვთხოვდი და ვურჩევდი, რომ ადამიანების უფლებების დაცვის გარდა, უსაფრთხოების გამოწვევებზეც იფიქრონ. გარკვეულ შემთხვევაში, ეს რიტორიკა უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით, გარკვეულ რისკებს წარმოშობს.

— შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა დავა ევროპულ სასამართლოში გააგრძელოს. შეიძლება თუ არა, „რუსთავი2“ დაკავშირებული პროცესის მსგავსი მივიღოთ?

— ეს აბსოლუტურად განსხვავებული ქეისია. როგორც იურისტი და არა როგორც პოლიტიკოსი, უფლებების დაცვის კუთხით, სადავო სფეროსაც კი ვერ ვხედავ. არა თუ იმ საკითხს, რომელზეც შეიძლება ყურადღება გაამახვილოს ადამიანის უფლებათა სასამართლომ.

თითქოს, ერთმანეთთან კავშირში არაა, მაგრამ ე.წ. ფარული მოსმენების კანონთან დაკავშირებულმა დავიდარაბამ საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული კადრები გამახსენა. ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი წევრი დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრს დაუპირისპირდა და ტერეზა მეის მილიონ რვაასი ათასი ადამიანის სურვილის გათვალისწინებით, დონალდ ტრამპთან შეხვედრაზე უარის თქმა მოთხოვა. „პატივცემული ჯენლტმენი მიიჩნევს, რომ ქვეყნის შიდა პოლიტიკა ჩვენი მთავარი მოკავშირესა და დემოკრატიული ქვეყნის არჩეულ პრეზიდენტზე თავდასხმაში მდგომარეობს. ვნახოთ, რას მიაღწია ამ ადამიანმა ბოლო კვირის განმავლობაში.. შეძლებს ის ტრამპის საპასუხო მოქმედებებებისგან ბრიტანელების დაცვას? არა! შეძლებს ის სავაჭრო ხელშეკრულების საფუძველის მომზადებას? არა! შეძლებს ის ტრამპისგან მიაღწიოს ნატოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას? არა! გამოდის, რომ ლეიბორისტები სთავაზობენ ქვეყანას ბრიტანელი მოქალაქეების ნაკლებ დაცვას, ნაკლებ უსაფრთხოებას და უზრუნველყოფას. ამიტომ, მას შეუძლია მართოს პროტესტი, მე კი ქვეყანას ვმართავ!— ასეთი იყო ბრიტანეთის პრემიერის მკაცრი და კატეგორიული პასუხი.

ნელი თორდია
571 35 36 88

არნო ხიდირბეგიშვილი:

საქართველოს სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ მარგველაშვილი დაინიშნა!

საქართველოს საბოლოო გაკოტრებამდე მისაყვანად მზადდება „ვარდების რევოლუცია-2“

თავიანთი ნაშიერებისათვის ნარკოტიკების „ჩადების“ გამო თვალთმაქცები ისე აღშფოთდნენ, თითქოს ნარკომანი პრეზიდენტი არ ჰყავდათ!

როცა კომპანია კოტრდება, მას სალიკვიდაციო კომისიას უნიშნავენ.

„ნაცმოძრაობა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“ - სწორედ გარედან დანიშნული სალიკვიდაციო კომისიაა, რომელიც მოწოდებულია, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ლიკვიდაცია მოახდინოს.

საქართველოს საბოლოო გაკოტრებამდე მისაყვანად მზადდება „ვარდების რევოლუცია-2“ ზუსტად ისეთივე მიზნით, როგორიც „მაიდან-2“-ს ჰქონდა უკრაინაში: ბოლომდე იქნეს მიყვანილი პირველი „რევოლუციის“ შედეგად დაწყებული სახელმწიფოს ნგრევა, რის შემდეგაც სახელმწიფოსთვის მოწყვეტილი ტერიტორიები მეზობლების კუთვნილება გახდება.

თუკი პირველი „რევოლუციის“ შედეგად საქართველოს დე იურე ჩამოშორდა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომლებიც დე ფაქტო რუსეთის ფედერაციას ერგო, ახლა თურქეთის ხელში აჭარა გადავა, სამცხე-ჯავახეთი სომხეთს ერგება, ქვემო ქართლი - აზერბაიჯანს, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის ზოგიერთი სასაზღვრო რაიონი კი - რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიურ ფედერალურ ოლქს (მათ ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკებს მიუერთებენ).

საქართველოსგან დარჩენილი ტერიტორია იქნება ბუტაფორიული სახელმწიფო მარიონეტული მთავრობით, არსებითად - პროტექტორატი, სადაც განთავსდება ნატოს აეროდრომები, სახმელეთო და საზღვაო ბაზები, სასწავლო-საწვრთნელი ცენტრები და სხვა ინფრასტრუქტურა.

ახალი „ფერადი“ სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზაცია კვლავაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს დაევალა, ხოლო ლიდერად - სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ უწინდებურად, მაღალი ლეგიტიმურობის მქონე სახელმწიფო მოღვაწეა არჩეული - თუკი 2003 წელს ეს იუსტიციის მინისტრი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიშა საკაშვილი იყო, დღეს ეს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გახლავთ.

მოქმედების მეთოდები სრულიად სხვადასხვაგვარი და ყველაზე ბინძურია:

- ეროვნებათაშორისი და რელიგიური შუღლის გაღვივება მართლმადიდებელ ქართველებსა და მუსლიმან აზერბაიჯანელებს შორის (რაც 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისას ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში მოსინჯეს); მართლმადიდებელ და მუსლიმან ქართველებს შორის (რაც ბათუმში 2017 წლის 11 მარტს გამოსცადეს);

- მოქმედი ხელისუფლების დადანაშაულება რუსეთის ინტერესების ხელშეწყობაში, რამაც არ იმუშავა ორი მიზეზის გამო:

ჯერ ერთი, „ქართულმა ოცნებამ“ ბევრად უფრო წინ წაიწია ევროატლანტიკური მიმართულებით, ვიდრე ყოფილმა მმართველმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ - მან ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, მიაღწია ვიზალიბერალიზაციას, საქართველოში ნატოსთან ერთობლივი სასწავლო ცენტრი გახსნა, სულ მალე კი ნატოს ბაზებსაც გახსნის (ვაზიანში და ფოთში, სადაც „შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების“ მიზნით „მანერჰეიმის სანაპირო ხაზს“ ააშენებენ რუსეთისაგან თავის დასაცავად);

მეორეც, მოქმედი ხელისუფლების „პრორუსულობაში“ დადანაშაულებამ საპირისპირო ეფექტი მოახდინა - „ქართულ ოცნებას“ პოპულარობა შემატა ქართველ

ხალხში, რომლის უმრავლესობა ოცნებობს, დაიბრუნოს რუსეთთან მეგობრობა, სადაც მილიონი მათი ახლობელი და ნათესავი ცხოვრობს, ნატო კი, ძირგამომპალი ევროპიდორული ღირებულებებით, სძულს!

განვაგრძოთ. იმის გათვალისწინებით, რომ საკაშვილის გუნდის „კუბოს სახურავში ჩაჭედებული პირველი ლურსმანი“ პატარკაციშვილის ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა გახდა, ლიკვიდატორებმა თვით სტრასბურგამდე და ვაშინგტონამდე გაბერეს მითი „საქართველოში თავისუფალი მედიის დევნის შესახებ“ - ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სახით, მაგრამ ეს მეთოდიც კონტრპროდუქტიული გამოდგა სააკაშვილის დეზინფორმაციული სააგიტაციო-პროპაგანდისტული ტელევიზიის - მისი ყველა ბოროტმოქმედებისა და „გამარჯვების“, ტელედაპატიმრებების და 08.08.08 ომის თანამონაწილის მიმართ საყოველთაო სიძულვილის გამო.

„რაღა ვქნათ?!“ - კინაღამ დაიბნენ სალიკვიდაციო კომისიაში. და აი, მაშინ „ქართული ოცნების“ დასამხობად ლიკვიდატორებმა აამოქმედეს გამოცდილი მეთოდი, რომელმაც 2012 წელს წარმატებით იმუშავა „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ: სასამართლო ხელისუფლება, პროკურატურა, მთავრობა და მის წინაშე ანგარიშვალდებული სამართალდამცავი ორგანოები - სუს-ი და შსს - „საქართველოში ადამიანის უფლებათა ტოტალურ უხეშ დარღვევებში“ დაადანაშაულეს. მაგრამ ვინაიდან „საქართველოში ადამიანის უფლებათა ტოტალური უხეში დარღვევები“ ვერ აღმოაჩინეს, მათი გამოგონება მოუხდათ!

თავდაპირველად ეს იყო კამპანია „ეს შენ გეხება!“, მიმართული „უკანონო მოსმენების“ წინააღმდეგ, მერე „არა ჩადებას!“, მიმართული პოლიციის მიერ „ნარკოტიკების ჩადების“ წინააღმდეგ. მეტი საიმედოობის, პიარისა და დამაჯერებლობისთვის „ხელისუფლების მსხვერპლთა“ სახით ლიკვიდატორები საქმეში საკუთარი შვილების - პრეზიდენტი მარგველაშვილის მსგავსი ცნობილი შშობლებისა და მათი მეგობრების შთამომავლების ჩათრევასაც არ მოერიდნენ. თვალთმაქცები, თავიანთი ნაშიერებისათვის ნარკოტიკების „ჩადების“ გამო ისე აღშფოთდნენ, თითქოს 9 წელი ნარკომანი პრეზიდენტი არ ჰყავდათ! საკაშვილი დღესაც მათი ბელადი და ნარკომანია!

მაგრამ ლიკვიდატორებს აქაც ზედმეტი მოუვიდათ - ხალხმა არ დაიჯერა, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში პოლიციამ ნარკოტიკების ჩადება გარისკა, იმიტომ რომ ნარკომანიის დამტკიცება ფაქტების გარეშე შეუძლებელია. უფრო მეტიც - უბრალო ხალხი გაცოფებულია იმის გამო, რომ როცა მათ ლუკმაპური არ გააჩნიათ, „ოქროს ახალგაზრდობა“ ძვირად ღირებული ნარკოტიკებით ერთობა! და უხარია, რომ კანონი, როგორც იქნა, პრივილეგირებულ „უმაღლეს საზოგადოებასაც“ მისწვდა! მით უმეტეს, რომ „მსხვერპლი“ - სულაც არ ყოფილან ბავშვები და „ღვთის კრავები“, ისინი არაერთხელ ნასამართლევი „გამოსული“ ბიჭები აღმოჩნდნენ, რომელთა წრეში თუ ნარკოტიკებით არ ერთობი, ჩამორჩენილი გოიმი ხარ!

P.S. სირცხვილია, რომ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა, აქაოდა, „ჩამორჩენილად“ არ გამოვჩნდეთო, ცოტა ხნის წინ ტელევიზიით განაცხადა, რომ მარიხუანა გაუსინჯავთ და იციან, ეს რა არის...

იქნებ ჰეროინიც გაუსინჯავთ?! ისე, მარტო ერთხელ, იმისთვის, რომ იცოდნენ - ეს რა არის?! ან იქნებ ანალური სექსიც, პრინციპით „ოდინ რაზ - ნე ჰედერასტ“?! ნეტავ არავინ მოუკლავთ იმისთვის, რომ გაეგოთ - რა შეგრძნებები ჩნდება ამ დროს?!

ნუთუ ყველა სასიკვდილო ცოდვის გასინჯვაა საჭირო, რათა მათზე წარმოდგენა გქონდეს?!

არნო ხიდირბეგიშვილი
2017 წლის 27 მარტი

ილია ყვარელში რომ იყოს დაკრძალული, აკაკი – სხვიტორში, ვაჟა – ჩარგალში, ერთი კი არა საქართველოში გაფანტული უამრავი პანთეონი გვექნებოდა...

გვესაუბრება მწერალი გურამ პეტრიაშვილი

— ბატონო გურამ, რას ფიქრობთ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ?

— თავიდანვე ვიტყვი, ვერ ვიხსენებ, ვინ დანერგა და დააწესა ის, რომ ყველა მწერლისთვის ან საზოგადო მოღვაწისთვის გარდაცვალების შემდეგ ერთად მიეჩინათ ადგილი.

ვაჟა-ფშაველას არც ერთი ღამე თბილისში არ გაუთევია. ჩამოიტანდა თავის გენიალურ ხელნაწერებს და მიდიოდა ისევ ჩარგალში. რატომ დაასაფლავეს თბილისში? ის უნდა იყოს თავის ჩარგალში და მის მკერდზე უნდა ამოდიოდეს მთის ია და სოსანი.

დავით კლდიაშვილის სამუდამო განსასვენებელი უნდა

ყოფილიყო სიმონეთში. ილიასი — ყვარელში, გალაკტიონისა — ჭყვიშში და ა. შ. რა მდიდარი ვიქნებოდით?! ერთი კი არა, ათასი პანთეონი გვექნებოდა. სადაც დიდი ქართველი დასაფლავდება, იქ იქნება ჩვენი პანთეონიც და ჩვენი სიმდიდრეც.

აი, ჩამოიყვანეს დიდი მიხეილ თამარაშვილი და ისიც თბილისში დაკრძალეს, არადა, უნდა დაესაფლავებინათ ჯავახეთში, იმ ადგილას, სადაც უცხო მიწას გვედავება. იქ რომ დაგვესაფლავებინა ეს ჩვენი დიდებული მამულიშვილი, ვერავინ ვეღარ გაბედავდა შემოდავებას.

მიკვირს, პირდაპირ, სერგო ზაქარიაძეს რა უნდა თბილისში? მაგრამ ყველაზე ჭკვიანურად მაინც სესილია თაყაიშვილი მოიქცა. მან სიკვდილის წინ თქვა: არ დამიწყოთ იქით-აქეთ ტარება, ჩემს შვილთან დამასაფლავეთო. ის არ კმაროდა, ზღვა ხალხი რომ მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე? მეც მინდოდა, მის ცხედარს შევდგომოდი მხრებით, მაგრამ ზურაბ ქაფიანიძე და მისნაირი ახოვანი ვაჟკაცები იყვნენ იქ და მე ვეღარ შევწვდი მის ცხედარს.

— ანუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ პანთეონი თბილისში არ უნდა იყოს?

— პანთეონი არათუ თბილისში, საერთოდ არ უნდა იყოს. კაცი დავასაფლაოთ იმ მიწაზე, რომელმა მიწამაც გაზარდა.

ახლა უცებ გამახსენდა და გეტყვით, მაგალითად, თუ ვინმეს ეკუთვნის დღესდღეობით პანთეონში დაკრძალვა, სხვა დიდებულ მამულიშვილებთან ერთად, ასი წლის მერე მურმან ჯგუბურიას ეკუთვნის, მაგრამ მურმანი უნდა დასაფლავდეს ზუგდიდში, იმიტომ, რომ პირველი ლექსი იქ დაწერა. იქ აღმოხდა პირველი პოეტური სიტყვა, იქ აიდგა ფეხი. ასე გავაკეთოთ, ჩემო ბატონო, გავფართოვდეთ, გავიშალოთ.

მწერალთა კავშირში ვინმე რომ გარდაიცვლებოდა, კი არ გლოვობდნენ, არამედ ფაციფუცობდნენ, სად დაესაფლავებინათ.

ტერენტი გრანელი ფსიქიატრიულში გარდაიცვალა. აიღეს და პანთეონში დაკრძალეს. წაიყვანე, შე კაი დედმამიშვილო, წალენჯიხაში, იქ, სადაც მისი სახლ-მუზეუმია.

საქართველო უნდა „გავშალოთ“, მით უფრო, რომ ამითაც ვართ მდიდრები. ნუ წარმოვაჩენთ ისე, თითქოს თბილისშია ყველაფერი და ესაა მთელი საქართველო.

კიდევ კარგი, არ ვიცით შოთა რუსთაველის საფლავი, თორემ თბილისში მისთვის გრანდიოზულ სასაფლაოს ააგებდნენ და ეს უკვე კომიკური იქნებოდა...

სახელმწიფომ უნდა გაბედოს და უნდა თქვას, რომ გავაუქმოთ ეს პანთეონები.

სად არის სტენდალი, ბალზაკი?! ჩეხოვი სხვაგან ასაფლავია, ლერმონტოვი და ტოლსტოი — სხვაგან. ქვეყნები იმით კი არ არიან დიდები, ერთად შეაგროვონ დიდებული მიცვალებულები. არა, ადამიანის ცნობიერებაში უნდა შეგროვდეს ბრწყინვალე შემოქმედთა თანავარსკვლავედი.

წეღან ვაჟა ვახსენე და აქვე დავძენ: ვაჟაობას ვზეიმობთ ჩარგალში და ვაჟა აგერ, თბილისში განისვენებს. ესაა საქმე?

მე რაჭველი კაცი ვარ, მაგრამ თბილისთან ახლოს, სოფელ ლილოში გავიზარდე. ამ ხნის კაცი ვარ და ახლაც რომ მკითხო, ხევში სად, რა ადგილას რომელი ქვა გდია, თუ აქამდე ნიაღვარმა არ წაიღო, მივალ და მივაგნებ. ახლა გავამხელ ჩემს საიდუმლოს — დიდ ლილოში მინდა, რომ განვისვენო.

— დიდხანს სიცოცხლე თქვენ, ბატონო გურამ, მაგრამ, მოდით, ასე ვთქვათ, საზღვარგარეთ, ზოგიერთ ქვეყანაში, როდესაც მათი გამოჩენილი ადამიანი გარდაიცვლება, ჩვეულებრივ სასაფლაოზე ასაფლავებენ, მაგრამ მერე, თუ მისმა სახელმა დროს გაუძლო, გადაასვენებენ პანთეონებში. საქართველოში გარდაცვალებისთანავე პანთეონში მიაქანებენ, ხშირად გარკვეული, თუნდაც პოლიტიკური გავლენების და კავშირების გათვალისწინებით.

— დიახ. ზოგჯერ სიცოცხლეში გაპოპულარულებულ ადამიანს ასაფლავებენ თითქოსდა საპატიო ადგილას, არადა, რა არის პოპულარობა თუ არა ზოგჯერ ტყუილი ტაში?! გახსოვთ? — „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში?!“ „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა.“

კომუნისტურ ეპოქაში სპეციალურად „ქმნიდნენ“ პოეტებსა და მწერლებს — გაზეთებში იბეჭდებოდა ერთი და იგივე ადამიანი, ტელევიზიები იღებდნენ სიუჟეტებს მასზე, აძლევდნენ ამ ადამიანებს სპეციალურ პრემიებს. ასე იქმნებოდა პოპულარული ესა თუ ის ადამიანი, რომელიც, სინამდვილეში, საშუალო ნიჭის მქონე იყო და მეტი არაფერი.

რაც კომუნისტების დროს ხდებოდა, იგივე კეთდებოდა „ნაცმოძრაობის“ დროსაც. ხელოვნურად ქმნიდნენ ყალბ პოეტებს, მწერლებს და ა. შ. ახლაც იგივე ხდება, რადგან სახელმწიფოებრივი მიდგომები არ შეცვლილა. იგივე ინერციით ვცხოვრობთ და როცა დიდუბის პანთეონის შევსების საკითხი წამოიჭრა, ეს მტკივნეული თემაც გააქტიურდა.

— მახათას მთაზე აპირებენ ახალი პანთეონის გახსნას.

— მახათას მთა შორიაო, ვიღაცამ ბრძანა. მაგრამ საიდან არის შორი, ვაკიდან თუ კახეთიდან?

ზოგიერთი იმით საზღვრავს თავის მწერლურ დიდებულებას, ბევრი წიგნი თუ აქვს გამოცემული. ახლა ისეთი დროა, ფული თუ გაქვს, წიგნების დასტას გამოსცემ, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რა წერია იმ წიგნებში ღირებული ერისთვის, ქვეყნისთვის და,ზოგადად, საზოგადოებისთვის.

ამას გარდა, გავიხსენოთ ჩვენი სახელოვანი მეფეები. მათ არ ეკუთვნოდათ პანთეონი?! მაგრამ სად არიან დასაფლავებულნი?! ზოგი გელათში, ზოგი — სვეტიცხოველში, ზოგი, ჩემო ბატონო, ბედიაში. მოვძებნოთ მაშინ ყველა და დავკრძალოთ ერთად. მოკლედ, სულ ტყუილად არის ატეხილი ერთი ამბავი. პანთეონი კი არ არის მთავარი, მთავარი ისაა, ვინ რა გააკეთა, როგორ ემსახურა მამულს. მათი ადგილი ერის გულშია და არა პანთეონებში.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

90-იან წლებში ქართველებს ეკონომიკურ ვეფხვობას გვიწინასწარმეტყველებდნენ, ჩვენ კი ვეფხვების ნაცვლად ვირთხებად ვიქეცით

გვესაუბრება ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე

— ბატონო დემურ, სოციალურ ქსელში პოსტი დაწერეთ, სადაც ბოზობის, ნარკოტიკების კონსტიტუციის დონეზე ლეგალიზებას მოითხოვთ. ბუნებრივია, ეს სარკაზმია და, ალბათ, ეს იმის გამოძახილია, რომ კონსტიტუციაში ყველაფერი იწერება იმის გარდა რაც უნდა იწერებოდეს?

— დიახ, საკონსტიტუციო კომისია არცერთ არსებით საკითხს, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობისთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არ ითვალისწინებს. მეათე, მეასე ხარისხოვან თემებზე საუბრობენ — პრეზიდენტის ძალაუფლებაზე, მითიურ საპარლამენტო რესპუბლიკაზე, რაც ქვეყანაში არ არსებობს იმიტომ, რომ პარლამენტი ნომინალურ ორგანოდაა ქცეული. კარგად ვერ გაუგიათ, რა ფუნქცია აქვს საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტს, როგორი კონტროლის განმახორციელებელია იგი ხელისუფლებაზე. მარტივად ვიკითხავ: რატომ მიდის ტერეზა მეი ყოველკვირას პარლამენტში, აბარებს ანგარიშსს და უამრავ შეკითხვას პასუხობს? ჩვენთან რა ხდება? — როგორც კი გაჩნდება საკითხი, რაზეც მთავრობამ განმარტება უნდა გააკეთოს, ე.წ. უმრავლესობა, თითქოს, მას იცავს, რათა ზედმეტად არ გაცდეს პარლამენტში მოსვლით და ანგარიშის გაკეთებით. აი, ეს არის მახინჯი წარმოდგენა. არავითარი საპარლამენტო რესპუბლიკა აქ, არ არის და ვერც იქნება. ეს მოდელი ქართულ რეალობას არ შეესაბამება. ამისათვის ძალაუფლების სხვაგვარი კონფიგურაცია, შემაკავებელი და გამაწონასწორებელი მექანიზმებია ჩასადები, რისი მსგავსიც აქ, არაფერია. ასევე, დასმული არ არის ცენტრალური საკითხი — ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ. ამიტომ, ის რაც კეთდება წყლის ნაყვაა. კონსტიტუციური თვალსაზრისით, საუბარია რიგ უაზრობებზე, თითქოს, მთავარი ჩანაწერი ჩვენი ორიენტირი ევროატლანტიკური კურსია და ა.შ. ეს ბავშვობა, თამაშია. ამ ლოგიკით, ალბათ, კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ, რომ მინისტრებს და პარლამენტარებს კონსტიტუციით აქვთ ორალური სექსის უფლება, პრეზიდენტს უცილობლად მდიდრული სექსი უნდა ჰქონდეს, არასამთავრობოებს უფლება მივცეთ ჯგუფური სექსით დაკავდნენ.

დიახ, ასეა. ამიტომ, ჩემი წინადადება ძალაში რჩება, რაც ყველა პრობლემას ხსნის: შედეგად, ჩვენ ვიქნებით ის ქვეყანა, რომელიც გაბრწყინდა და უკვე ნირვანას მდგომარეობაში ვართ.

— რეალურად, რა უნდა გაკეთდეს ნორმალური კონსტიტუციის შესაქმნელად. როგორ დავუბრუნდეთ მეასეხარისხოვნიდან მთავარს?

— იცით, საქმე რაშია: კონსტიტუციური წყობა არ შეიძლება რომელიმე ქვეყნის მოდელიდან გადმოვიტანოთ. საქართველოს რეალობას ვერანაირად გვერდს ვერ ავუვლით. ამ მოცემულობებში ჩვენი მიზნები გვაქვს: ძლიერი სახელმწიფო გვინდა. თუმცა, არ ვიცი რამდენად უნდათ ეს პარლამენტის წევრებს. იმიტომ, რომ როცა ძლიერი სახელმწიფო გინდა, ტრაექტორია შეზღუდული გაქვს. ჩვენ ჩვენი ხალხის ნიჭისა და უნარის განვითარება გვინდა. მათ უნდათ? — ეს საკითხავია. ჩვენ, გვინდა, რომ კანონმდებლობისა და სამართლის თვალსაზრისით, ლეგალურ სფეროში, ყველას მიმართ ერთიანი მიდგომა არსებობდეს. ასევე, გვინდა, რომ პატივს ვცემდეთ ჩვენს კულტურას, ვვითარდებოდეთ, ვითვისებდეთ ყველაფერ ახალს რაც კი მსოფლიოში პროგრესული მიმართულებებით ვითარდება და არა იმას, რაც სიმახინჯეა და განვითარების გვერდით ეფექტებს წარმოადგენს. სანამ ამ საკითხებზე არ ვიმსჯელებთ და ვიღაც კაბინეტებში გადაწყვეტს როგორი უნდა იყოს კონტიტუციური ცვლილებები, კანონმდებლობა და ა.შ., მანამდე გვექნება დოლარებში გამოხატული 14 მილიარდიანი მთლიანი შიდა პროდუქტის მქონე ეკონომიკა. ანუ, ეს ერთი საშუალო ამერიკული ფირმის წლიური შემოსავალია. შედეგად, გვეყოლება სიღარიბეში ჩაფლული ხალხი და გვექნება დემაგოგიის დონეზე მოსაუბრე საკანონმდებლო ორგანო და ასევე, სხვა მაღალჩინოსნები, რომლებიც ვერ ხვდებიან, რომ მათი იქ ყოფნა მარადიული არ არის.

მილიონნახევარი ემიგრანტი, მიწების გაყიდვის თაობაზე უპასუხისმგებლო ადამიანების გაუგებარი წინადადებები და ა.შ., რაც უტვინობის, შეგნებული დანაშაულის ტოლფასია და არა სხვა რამის. პარლამენტში თვალებგადმოკარკლული იდიოტები, რომლებიც თითქოს, რაღაც ორიენტაციების არიან, საშინელ განცხადებებს აკეთებენ. ახალგაზრდა ხალხს იმის ტაქტი არ ჰყოფნით, რომ პოლიტიკური ცხოვრებისა და თამაშის წესები ნელ-ნელა აითვისონ და სახელმწიფოში ავტორიტეტულ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. ჩვენ ვხდავთ ადამიანებს, რომლებსაც შანსი არ აქვთ, რომ პოლიტიკოსებად ჩამოყალიბდნენ. ამიტომ, პრობლემები იმაზე უფრო დიდია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეს ყველაფერი — უტიფრობა, დილეტანტიზმი, რაღაც ორიენტაციები ნებისმიერი მიმართულებით ინილბება.

— რით ველარ შედგა ქართული ეკონომიკა?

— დამერწმუნეთ, დეტალურად ვიცი ყველა ის რესურსი, რაც ქვეყანაში არსებობს. შემიძლია გითხრათ, რომ დღეს ყველანაირი რესურსი არსებობს, მათ შორის, მატერიალური, ფინანსური, ადამიანური იმისათვის, რომ ქვეყანა განვითარების ძალიან სტაბილურ და აღმავალ ტრაექტორიაზე გავიდეს. სამწუხაროდ, ამას ხელს მხოლოდ პოლიტიკური ნება და პოლიტიკა უშლის, სხვა მიზეზი არ არსებობს.

— ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ნაცვლად, მგონი უფრო მისი ნგრევის, ჯიბეების გასქელების კონცეფცია გვაქვს.

—დღესდღეობით, არ არსებობს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მთავრობის ყველა სტრუქტურა, რგოლი იმუშავებს. არ არსებობს პარამეტრები თუ როგორ ხდება ვითომ ამ რაღაც პროგრამის რეალიზაცია, ვერ ვისმენთ ანგარიშებს, გვაქვს მხოლოდ განცხადებები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეტ-ნაკლებად, ეს ყველაფერი, დინებაზეა მიშვებული. რაიმე კონცენტრირებული პროგრამის, რესურსების მობილიზაციის არანაირი საფუძველი არ გვაქვს.

— მუდმივად გვესმის, რომ საბაზრო ეკონომიკის ეპოქაში ვცხოვრობთ...

— საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე საუბარი, საკმაოდ დიდი უპასუხისმგებლობაა იმიტომ, რომ აქ, კვაზი საბაზრო ეკონომიკაა, რომელიც რაღაც ელემენტებს შეიცავს თუმცა, აბსოლუტურად, არ არსებობს არცერთი საბაზრო ინსტიტუტი, რომელიც ამ ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმებით განავითარებს.

— თუმცა, პოსტ.საბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ძლიერი რესპუბლიკა ვიყავით, რომელიც მერე გაღატაკდა. ამის გამომწვევი მიზეზები რა იყო?

— 1990 წელს არაერთი ცნობილი დასავლელი ეკონომისტი საქართველოს პოსტ.საბჭოთა კი არა, პოსტ.სოციალისტურ სივრცეში ოთხ სახელმწიფოს შორის ასახელებდა, რომლებიც უახლოეს ხანში ახალი ეკონომიკური ვეფხვები უნდა ყოფილიყვნენ. საქართველოს ჰქონდა ფანტასტიკური საწყისი, რესურსი და ხალხის მონდომება. ყველაფერი მხოლოდ ხელისუფლებებმა გააფუჭეს. ეკონომიკური ვეფხვისა და დღეს, უკვე, ძალიან სერიოზულად განვითარებული სახელმწიფოს ნაცვლად, ჩვენ, პოსტ. საბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი პრობლემური ეკონომიკა, სიღარიბე და საშინელი მიგრაცია მივიღეთ. პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომლებიც ბოლო 27 წლის მანძილზე ხელისუფლებაში იყვნენ, ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღონ, ეს მათი ბრალია.

ამ ლოგიკით, ალბათ, კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ, რომ მინისტრებს და პარლამენტარებს კონსტიტუციით აქვთ ორალური სექსის უფლება, პრეზიდენტს უცილობლად მდიდრული სექსი უნდა ჰქონდეს, არასამთავრობოებს უფლება მივცეთ ჯგუფური სექსით დაკავდნენ.

— რა გზები დასახა სახელმწიფომ სიტუაციის გამოსასწორებლად?

— პასუხი მარტივია — არაფერი. საქმე რაშია იცით, დეკლარაციის დონეზე არის განცხადებები, რაღაც კონცეფციები, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ჩამოყალიბებული კონცეფცია, სამუშაო დოკუმენტი მთავრობას ბოლო 27 წელია არ ჰქონია.

— პრობლემაა ალბათ, ისიც, რომ ქვეყნის ქონების დიდი ნაწილი 5%-ის ხელშია.

— საქართველოს ძირითადი ქონების მფლობელი 5% რომ იყოს, აქ, საკმაოდ კარგი სიტუაცია იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ 5% კი არა, 0,1% -იც არ არის მფლობელი, სულ რამდენიმე ოჯახზეა საუბარი, რომლებიც ძირითად ქონებას ფლობენ. ამიტომ, აქ უთანაბრობის საშინელი დონეა. უთანაბრობა დღეს, არამარტო საქართველოს ანგრევს, არამედ ეს საფრთხეს ძალიან განვითარებულ ქვეყნებსაც უქმნის.

— როგორ ფიქრობთ, „ქართულმა კაპიტალიზმმა“ ქართული პროლეტარიატი შვა?

— ეს არ არის კაპიტალიზმი, არამედ კომკავშირულ-პარტიული სულისკვეთების ადამიანების სიხარბე, რაც ხელისუფლებებისგან დაცულია. ხელისუფლებები იცვლება, პრივილეგირებული ძალიან ვიწრო ჯგუფის ინტერესები რჩება, რაც, ფაქტობრივად, ხელისუფლების ნაწილია.

— ბატონო დემურ, ჩვენისთანა მცირერიცხოვან მოსახლეობას რამდენი ადამიანი უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლებიდან?

— საქმე იმაშია, რომ ყველაზე დიდი რესურსი რომელიც საქართველოში ბოლო 27 წელია არ გამოყენებულა და ყველაზე მთავარი, ეფექტური მართვაა, რომელიც მაღალ პროფესიონალებს მოითხოვს. ხელისუფლებაში მხოლოდ პროფესიონალები არაა საკმარისი, ამას სჭირდება პოლიტიკური ხედვა და აზროვნება, სხვაგვარად შედეგები არ მიიღწევა. ამის საილუსტრაციოდ საქართველოც საკმარისია. სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო სექტორში თანამშრომელთა რაოდენობა იმდენია, ათჯერ უფრო დიდ სახელმწიფოს გასწვდება.

ბოლო 5-6 წლის განმავლობაში სახელმწიფო სექტორში თანამშრომელთა რაოდენობა საშინლად გაიზარდა. განსაკუთრებით, ე.წ. 100%-ით სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების. აქ მთელი ოჯახები, კლანები — დედა-შვილი, და-ძმა, სიდედრი-სიმამრი ყველა ერთად მუშაობს. აი ასეთი სიტუაციებია. უნდა ვიფიქროთ რას ველოდებით.

— გუშინ, ევროპაში უვიზო რეჟიმი ოფიციალურად ამოქმედდა. ქვეყანა ზეიმობს.

— ამაში არაფერი მოსალოცი არ არის. ეს თავისთავად კარგია იმიტომ, რომ მოქალაქეებს ვიზის ასაღებად ქრთამის მიცემა აღარ დასჭირდებათ. ცნობილია, ვიზებს „აჩალიჩებდნენ“ და ადამიანებს ათასობით დოლარს ართმევდნენ. ეს მოისპობა, სხვა მხრივ, ვიზა-ლიბერალიზაცია არაფრის მომცემი არ არის, იგი არანაირ გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე არ მოახდენს. მასიური მიგრაცია თუ გვინდა, ქართველებისთვის ეს პრობლემა არ იქნება — აქ, როცა სამუშაოს ვერ იპოვიან, ამ ვიზების მეშვეობით ქვეყნიდან უფულოდ, დანახარჯების გარეშე გავლენ. დღეს ევროპაში, აშშ-შიც არალეგალების უზარმაზარი მასშტაბებია. ქართველი უჭკუო არ არის და თუ ევროპაში არალეგალურ რეჟიმზე გადასვლას გადაწყვეტს, ამის გზას მოძებნის. ამიტომ, ეს იმ აღფრთოვანების საგანი არ არის, რაც ხელისუფლებიდან გვესმის.

თამარ შველიძე
555 23 28 24

შინაური მტრები საქართველოს წინააღმდეგ

„ნაცბანდა“ პროდასავლური ძალა თუ რუსეთის მეხუთე კოლონა?

წინა კვირას ნაცბანდის განაყარებმა „გაევროპულებულმა ნაცებმა“ განაცხადეს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს აქტიურად მოვთხოვოთ რუსეთისთვის სანქციების დაწესებაო. მოდით, აქვე ვიტყვით, რომ არც რუსეთის ადვოკატობას ვაპირებთ და არც მათი გულმხურვალე მხარდამჭერები ვართ. ჩვენ ჩვენი ქვეყნის ინტერესები გვალაპარაკებს. ამას იმ ლიბერასტების გასაგონად ვამბობთ, რომლებიც რუსეთუმეობის დაბრალებას დაგვიპირებენ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ნაცბანდის (თუნდაც „ევროპელები“ და „გირჩები“ იყვნენ, მათ შორის არანაირი განსხვავებაა, ამიტომაც ძველი სახელით მოვიხსენიებთ ყველა მათგანს) წევრებმა არ იცოდნენ, სანქციები რუსეთს, აგერ, უკვე სამი წელია, აქვს დაწესებული საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვადასხვა ქვეყნების მიერ. რა შედეგები გამოიღო სანქციებმა იგივე რუსეთისთვის და დამწესებლებისთვის, შორიდანაც კარგად ჩანს. არც ყირიმი დაუბრუნებია რუსეთს უკრაინისთვის, რისთვისაც დაუწესეს სანქციები და არც დონბასში დაწყნარებულა საომარი სიტუაცია.

რუსეთის ფაქტორს ნაცხროვა და უხსენებელი სააკაშვილი საფრთხობელად იყენებდნენ, რათა როგორმე გაემართლებინათ და გაეხანგრძლივებინათ მათი ხელისუფლებაში ყოფნა. „რუსეთი ოკუპანტიაო“, გაიძახოდნენ, მაგრამ საქმით სწორედ ოკუპანტების საქმეს აკეთებდნენ. სწორედ პირსისხლიანი სააკაშვილის პრეზიდენტობისას მიყიდეს რუსეთს საქართველოში არსებული თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი. ელექტროენერგიას, გაზს, წყალს ხომ რუსული კომპანიები ფლობენ. ამის გარდა, მათ ხელშია სხვა სამრეწველო ობიექტებიც, რომლებიც სწორედ ნაცბანდამ უფეშქაშა. საინტერესოა, ახლა რომელ სანქციებზე საუბრობენ სისხლიანი რეჟიმის წარომადგენლები?

დამნაშავე სააკაშვილმა ისეთი საქმე გაუკეთა რუსეთს, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენდნენ! გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომია, რაც თვით რუსეთის მხარესაც ჰქონდა აღიარებული, აღადგინა! ამას არ დასჯერდა და დალის ხეობა აფხაზეთს მიუერთა! ყოველივე ეს კარგად ახსოვს საქართველოს მოსახლეობას. ახლა ვიკითხოთ, მართლა ებრძოდა ნაცხროვის რეჟიმი რუსეთს თუ ყოველივე ფარსი იყო და არის?

ქართული პროდუქციის რუსეთში შეტანის აკრძალვამ ჩვენი სოფლის მეურნეობა ლამის განადგურებამდე მიიყვანა. თუმცა ნაცბანდის რეჟიმი მუდამ ცდილობდა, ყველაფერ ქართულთან ერთად ამ დარგის განადგურებასაც.

დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებს შორსმიმავალი მიზნები აქვთ. მათი მმართველობის პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქცია, გვახსოვს, თითქმის გაუფასურებული იყო. მათ შორის, ყურძენი, ვაშლი, ციტრუსი... რეგიონებში მოსახლეობას ვენახის გაჩეხვისკენაც მოუწოდებდნენ, რისთვისაც გარკვეულ თანხას სთავაზობდნენ.

2013 წლიდან საქართველოში სოფლის მეურნეობამ, მართალია ნელა, მაგრამ იწყო წინსვლა. თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს, კახეთში შარშან მოსახლეობამ მხოლოდ ყურძნის მოსავლით 97 მილიონი შემოსასვალი მიიღო. გარკვეული შემოსავლები აქვთ ქვეყნის სხვა რეგიონებში, რასაც იგივე სტატისტიკა გვეუბნება. არც იმის უარყოფას ვაპირებთ, რომ სოფლის მეურნეობას კიდევ უფრო მეტი ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება.

ნაცბანდის წევრები კი გაიძახიან, ქვეყანაში ეკონომიური კრიზისიაო. ქვეყანაში სასიკეთო საქმე არ ახარებთ და არც სურთ. ამიტომაც ყოველნაირად ცდილობენ, როგორმე ავნონ საქართველოს. თავიანთი წარსულიდან გამომდინარე, მშვიდობიანად ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდებიან და ამიტომ არეულობა და ქაოსი მათთვის ერთადერთი გამოსავალია. სანქციების მოთხოვნით ცდილობენ რუსეთის გაღიზიანებას. მათი გათვლებით, ამ სანქციებით გაბრაზებულმა რუსეთმა, შესაძლებელია, აკრძალოს თავის ქვეყანაში პროდუქციის შეტანა. შედეგიც, სავარაუდოდ, კარგად აქვთ გათვლილი. ამ შემთხვევაში ჩვენი სოფლის მეურნეობა დაუბრუნდება იმ ნიშნულს, რომელიც მათი მმართველობის პერიოდში იყო, ანუ კვლავ გაუფასურდება პროდუქცია, გაღატაკდება ხალხი. ნაცბანდა, თავისთავად, ყველაფერს ხელისუფლებას გადააბრალებს და ხალხს არეულობებისკენ მოუწოდებს. მღვრიე წყალში კი თევზის ჭერა იოლია.

დიახ, რუსეთისთვის სანქციების მოთხოვნით, შორიდან მუშტების ქნევით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა (რაც, დიდი ვარაუდით, სულაც არ აწყობს ნაცბანდას) ვერ აღდგება. ამისთვის ხელისუფლებამ აქტიურად უნდა იმოქმედოს. ზოზინით და დროის კარგვით შედეგს ვერ მივაღწევთ. ამასთან, ყველას, ვინც ქვეყნისთვის საზიანო განცხადებას აკეთებს, პასუხი უნდა გაეცეს.

გია ბურდული
551 71 27 07

რა აზრი აქვს ვიზალიბერალიზაციას, თუ ამას ევროპის ქვეყნებიდან ქართველების მასობრივი დეპორტაცია მოჰყვება?

„ხალხის პარტია“ ევროკავშირის საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს

„ხალხის პარტია“ ევროკავშირის ქვეყნებიდან ქართველების მასობრივ დეპორტაციაზე საუბრობს და ევროკავშირის საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვას აანონსებს.

„საერთო გაზეთს“ „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე ლექსო კობაიძე ესაუბრა:

— დიახ, ჩვენი პარტია ნამდვილად აპირებს ევროკავშირის საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვას ერთადერთი მოთხოვნით - შეწყდეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დისკრიმინაცია და ევროპიდან გამოძევება. ვიზალიბერალიზაცია საქართველოს ისტორიული მონაპოვარია, მაგრამ არის საკითხები, რომლებზეც თვალის დახუჭვა არ შეიძლება, მოგეხსენებათ, ევროპაში სამუშაოდ საქართველოს უამრავი მოქალაქეა გასული, რადგან ამ ადამიანებს სამშობლოში სამსახურის პოვნის ყველა იმედი ამოეწურათ. სამწუხაროდ, ამ ადამიანებისთვის ვიზალიბერალიზაციას არასასურველი პროცესები მოჰყვა, რადგან დაიწყო ევროპაში არალეგალურად მყოფი ადამიანების მასიური დეპორტაცია. მათ პასპორტში 4 წლიან დეპორტს ურტყამენ და საქართველოში უშვებენ. ამის გარდა, საქართველოს უამრავ მოქალაქეს, რომლებიც სრულიად კანონიერი გზებით და ვიზებით აპირებდნენ 28 მარტამდე ევროპაში შესვლას, მიღებაზე უარი უთხრეს.

— უარის მიზეზი რა იყო?

— კეთილი ინებეთ, ვიზალიბერალიზაციის პროცედურები გაიარეთ და შემდეგ მობრძანდითო და ერთწლიანი დეპორტით „ასაჩუქრებდნენ“. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო შექმნილ ვითარებას ძალიან მშვიდად აკვირდება და ჩვენი მოქალაქეების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას არ აპროტესტებს, როცა სერბეთის, ალბანეთის, ბოსნიაჰერცოგოვინას და მოლდოვამას მოქალაქეების მიმართ ასეთ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. შეგახსენებთ, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებში სოციალ-ეკონომიკური ფონი საქართველოზე უფრო მძიმეა. ჩვენს ევროპელ მეგობრებს შევახსენებთ, რომ ვიზალიბერალიზაცია ქართველი ხალხის ისტორიული მონაპოვარია და არა ვინმეს წყალობა. სამწუხაროდ, ეს პროცესები გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას მოჰყვა, როცა ბრძანა, ყველა არალეგალს მოვძებნით და ჩამოვიყვანთო. ეს არასწორი მიდგომაა, ვინაიდან, ჯერჯერობით, ჩვენს ქვეყანაში სამსახურები და არსებობისთვის აუცილებელი ელემენტალური პირობები არ არსებობს. ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც მძიმე შრომის ფასად, საქართველოში დარჩენილ ოჯახებს ინახავენ, მუქარა კი არა, დახმარება ჭირდებათ და ეს ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა. სხვათა შორის, ამ პროცესებს საეჭვოდ დაემთხვა ევროპიდან საქართველოში ტვირთის გაგზავნასთან დაკავშირებული პრობლემები. ხალხი რაღაცას წვალობდა, შრომობდა, საქართველოში აგზავნიდა და ახლა ეს ტვირთები უკან უბრუნდებათ.

— ტვირთის გაგზავნასთან დაკავშირებული პრობლემები ვიზალიბერალიზაციასთან რა კავშირშია?

— არავინ იცის. ამ საეჭვო პროცესების პარალელურად, გარკვეულ წრეებში პროპაგანდა მიდის, რომ ქართველები კრიმინალები არიან და ქვეყანაში მათი შეშვება სახიფათოა. ერში კარგიც არის და ცუდიც· ევროპაში წასულ არა ერთ ადამიანს ვიცნობ. ზოგი სტუდენტია, ზოგი მუშაობს, მაგრამ კრიმინალი არც ერთი არაა. საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ასეთ შეურაცხმყოფელ განცხადებებზეც დუმს და რეაქცია არა აქვს.

— შეგიძლიათ, კონკრეტული ადამიანები დაასახელოთ, ვისაც ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები შეეხოთ?

— დიახ, თუმცა ისინი ჯერჯერობით, ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებენ, რადგან თავიანთი უფლებების დასაცავად, სამართლებრივი დავების დასაწყებად ემზადებიან. ჩვენ მზად ვართ შენგენის ზონიდან ბოლო დროს დეპორტირებულ ადამიანებს გვერდით დავუდგეთ და სამართლებრივი დახმარება გავუწიოთ,მაგრამ სახელმიფოს-დახმარება სადაა? ყველასთვის ცნობილია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში, ისრაელი საქართველოს თითქმის ყველა მოქალაქეს შეშვებაზე უარს ეუბნება. ეს ყოველგვარი ისტორიულ მეგობრობის და ურთიერთობის ნორმებს სცდება, მაგრამ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ შემთხვევაშიც უმოქმედოა.

— რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელებში აქტიურად განიხილავდნენ ისრაელში მცხოვრები რამაზ ისაკოვის წერილს, რომელიც ისრაელში სამუშაოდ ჩასულ ქართველებს ქურდებად და ყაჩაღებად მოიხსენიებდა.

— ასეთი წერილები სწორედ იმ პროპაგანდის ნაწილია, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით. შე დალოცვილო, თუ ცუდები და კრიმინალები ვიყავით, ამდენი საუკუნე ჩვენს გვერდით როგორ და რატომ იცხოვრე და ძმობას რატომ მეფიცებოდი? ამ აღვირახსნილი პროპაგანდის შედეგია, რომ ქართველებს არაადამიანურად ექცევიან ისრაელის საზღვარზე და მასიურად ხდება ჩვენი მოქალაქეების დეპორტაცია. არგუმენტი იცით რა არის? ისრაელში რომ შემოდიხართ, მერე შეიძლება ევროპაში გადახვიდეთო და ამ მიზეზით ქვეყანაში შეშვებაზე ყველას უარს ეუბნებიან. ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა სერიოზულად გააფუჭოს, ამიტომ გვაინტერესებს, სად არის ჩვენი მთავრობა, რატომ არ იცავს თავის მოქალაქეებს და რატომ არ აფიქსირებს პოზიციას? ჩემი აზრით, მთავრობას დიპლომატიაში პრობლემები აქვს და ბატონმა ჯანელიძემ თავის უწყებაში რეფორმები უნდა განახორციელოს. სახელმიფომ თანხები უნდა გამოჰყოს და სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ამაზე მუშაობა. ჩვენ ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ ღირსეული ერი ვართ და მსგავს დამოკიდებულებას არ შევეგუებით.

— საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ამ თემებზე საუბარი არ გქონიათ?

— ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია, მაგრამ მათი პოზიციაა, თითქოს არაფერი ხდება და ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს. როგორ არ ხდება? სტატისტიკას რომ გადავხედოთ, ადრე თუ სიტყვაზე, თვეში 5 ადამიანის დეპორტირება ხდებოდა, ახლა 100 და 200 ადამიანის დეპორტირება ხდება და ეს ბუნებრივი პროცესია?

— ევროკავშირის საელჩოსთან საპროტესტო აქციების გამართვას როდიდან აპირებთ?

— მიმდინარე კვირიდან ვაპირებთ, რომ აქტიურად ვიმოქმედოთ. გვინდა ჩვენს ევროპელ მეგობრებს ვიზალიბერალიზაციისთვის მადლობა ვუთხრათ, მაგრამ ისიც შევახსენოთ, რომ ღირსების მქონე ერი ვართ და ამის დამტკიცებას აუცილებლად შევძლებთ. მივმართავ დიპლომატიურ კორპუსს - ჩვენი მოქალაქეების უფლებების დარღვევაზე აუცილებლად გვექნება მკაცრი რეაქცია.

ნელი თორდია
571 35 36 88



ვაკის გამგეობამ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამით 104 პროექტი დააფინანსა

ვაკის რაიონის გამგეობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან თანამშრომლობას და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროექტების დაფინანსებას განაგრძობს. ამ დროისთვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, რაიონის მასშტაბით კიდევ 63 განსახორციელებელი პროექტი დაფინანსდა. კერძოდ: 23 ლიფტის განახლება, წყალ-კანალიზაციის რეაბილიტაცია - 12 მისამართზე, 7 სახურავის შეკეთება, 7 საერთო სარგებლობის კიბის განახლება, 2 სენსორული განათების დამონტაჟება, სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია - 6 მისამართზე, 2 საცხოვრებელი სახლის გამაგრება და 3 მისამართზე წყალსაწრეტი მილების დამონტაჟება. მიმდინარე სამუშაოების გარდა წელს კიდევ 41 თანადაფინანსებული პროექტი განხორციელდა.

როგორ შეიძლება ქართული ეკონომიკის მანქანა წინ წავიდეს, როცა მას ოთხის ნაცვლად ერთი ბორბალი აქვს?!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ ვიცე-პრეზიდენტი ვეფხია გიორგაძე.

- პირდაპირ რომ ვთქვათ, იგი რეფინანსირების წესით, ბანკებს ლიკვიდურობის გამო სერიოზულ თანხებს რომ აწოდებს, ამ დროს ჩვენი მოსახლეობის გაღარიბება ხდება, რადგან ამ დროს მიმოქცევაში იზრდება ფულის მასა. როცა ლარის მოცულობა იზრდება, დოლარი მყარდება, თუ პირიქითაა, ლარის კურსი მატულობს. აქ არის წონასწორული ფასი, მაგრამ აქ სხვა პროცესებთან გვაქვს საქმე. წელს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 4%-იანი ინფლაცია უნ-

და ყოფილიყო, რაც მიბმულია ლარის კურსზე დოლართან მიმართებაში. პრინციპში, ინფლაციასაც ვერ აკავებენ, რადგან სახეზეა 5,5%-იანი ინფლაცია, რაც გამოცხადებულზე მეტია ყოველთვიურად მაინც, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ფასზე, მისი ფასი იზრდება. უმთავრესი მონეტარული პოლიტიკაა, ამ თემას ერთ სტატიაში ვერ ამოვწურავთ, ამიტომ ჯობია ჯერ რეფინანსირებაზე, ამ სესხსა და პროცენტის განსაზღვრაზე ვისაუბროთ. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს მაშინ აძლევს რეფინანსირების სესხს, როცა ამ უკანასკნელს ლიკვიდურობის პრობლემა აქვს. ეს ნიშნავს, როცა ბანკი თავის კლიენტს ვეღარ ემსახურება, მაგალითად, მეანაბრეს, რომელსაც დეპოზიტზე უდევს თანხა, ვერ უხდის ყოველთვიურ დივიდენდს. არ შეიძლებაВბანკი ერთი საათი მაინც არალიკვიდური იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე არა ბანკის არალიკვიდურობასთან, არამედ მის არაპროფილურობასთან გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკს სხვადასხვა სფეროში აქვს ინტერესი. მაგალითად, სამშენებლო კომპანია „ემკვადრატის“ მფლობელი „საქართველოს ბანკია“, ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა, არაკონკურენტულ გარემოს რომ ქმნის სამშენებლო სფეროში ეს ბანკი. მოკლედ, სწორედ ამ ბიზნესებში ექმნება ბანკს პრობლემა, არადა საერთოდ არ უნდა იყოს ჩართული ამ ბიზნესებში. საზღვარგარეთ მკვეთრადაა გამიჯნული ეს ყველაფერი, ბანკმა მხოლოდ პროფილური მიმართულებით უნდა იმუშაოს. ასე რომ, მთავარი ისაა რამდენად მიზნობრივად იღებს ესა თუ ის ბანკი რეფინანსირების სესხს ეროვნული ბანკიდან, რამდენად არალიკვიდურ მდგომარეობაშია. ეროვნულ ბანკში სპეციალური კომისია არსებობს, რომელიც არ აქვეყნებს ამის შესახებ ინფორმაციას, ამიტომ ჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ კონკრეტულ კომერციულ ბანკს არ ჭირდება ეს თანხა და ისე აწვდიან. აქ მეორე საკითხიცაა, სახელმწიფო ობლიგაციებს მხოლოდ ბანკი ყიდულობს, სხვას ძალიან უჭირს, ფაქტობრივად არ შეუძლია. ამ ობლიგაციებიდან ბანკი დიდ სარგებელს ღებულობს (9; 10; 11%), რეფინანსირების სესხსაც დაბალ პროცენტში იღებს და მერე მთავრობაზე ასესხებს, მათ შორის მარჟა, მოგება რა თქმა უნდა ამ ბანკს რჩება. სესხის თანხა პირდაპირ აისახება ლარის კურსზე, რადგან ეს თანხა ზრდის ეროვნული ვალუტის მასას. ე.ი. სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო ფულით ვკვებავთ კომერციულ ბანკს, მას უპირატეს მდგომარეობაში ვაყენებთ და ჩვენს მოსახლეობას ვაღარიბებთ.

- ბანკები რომ სასათბურე პირობებში ჰყავს ხელისუფლებას, არავის ეპარება ეჭვი. ლარის კურსის მერყეობით რომ მხოლოდ ბანკები სარგებლობენ, ეს ერთია, მაგრამ სახელმწიფოს დაპირებულ იაფ სესხებსაც, თუნდაც აგრარული სექტორის განვითარებისთვის, ხომ კომერციული ბანკები გასცემენ?

- ევროპის განვითარების ბანკმა (იბიარდი) გამოყო თანხა ასე ვთქვათ მომგებიანი ბიზნესიდეებისა (სტარტაპი) და იმ კომპანიებისთვის, რომლებიც წარმოების გაფართოებას აპირებენ, მაგრამ აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ თანხის განაწილება თავისთავზე აიღო „საქართველოს ბანკმა“. მან აიღო „იბიარდისგან“ ფული და საბაზრო პროცენტში აძლევს კრედიტს მოსახლეობას, რაც დაუშვებელია. ამ შემთხვევაში ოლიგოპოლიასთან გვაქვს საქმე. საერთოდ, ოლიგოპოლიები, მონოპოლიები და ა.შ. განვითარებადი ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანთვისებაა, რასაც ყველა ხელისუფლებაში ჰყავს თავისი ლობი. არადა აუცილებელია კონკურენცია. მაგალითად საფინანსო სექტორი რომ ავიღოთ, ისეთ ქვეყნებში, როგორიც ჩვენ ვართ, არის მარტო ერთი მდგენელი, არადა ოთხი მდგენელი უნდა იყოს, ასეა ცივილიზებულ, განვითარებულ ქვეყნებში. ეს მდგენელებია, ბანკები, საფონდო ბირჟები, საპენსიო ფონდები და სადაზღვევო კომპანიები. ჩვენ მხოლოდ ბანკები გვაქვს. განვითარებულ ქვეყნებში წარმოების ძირითადი დამფინანსებლები საფონდო ბირჟები არიან, იქ თავსდება ფასიან ქაღალდები. შესაძლებელია ჩვენმა მოსახლეობამაც დააფინანსოს წარმოება, შესაბამისად ეკონომიკის განვითარება. ხალხმა შეიძინოს ეს ფასიანი ქაღალდები, თვითონ ყოველთვიურად დივიდენდი მიიღოს, ხოლო ბიზნესმა გაფართოებისთვის მიიღოს თანხა. საზღვარგარეთ ეს აპრობირებული მეთოდია, ბიზნესში საფონდო ბირჟებიდან მიღებულ თანხას იყენებენ, უკიდურეს შემთხვევაში იღებენ ბანკიდან კრედიტს. ჩვენთან კი რა ხდება - საფონდო ბირჟა კლანჭებში აქვთ მოქცეული ბანკებს, ისინი არიან აქციების მთავარი მფლობელები და სამომავლოდ ბირჟის განვითარება მათ ინტერესებში არ შედის. თუ მოსახლეობა ბირჟაზე დაიწყებს თანხის დაბანდებას, მაშინ საბანკო სექტორში დეპოზიტზე აღარ წავა ეს ფული, დღეს 17 მილიარდია დეპოზიტზე. ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა ბანკები თავის სასარგებლოდ მოქმედებენ. მათიც მესმის იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის ბიზნესი და რა თქმა უნდა ბიზნესი კონკურენტის გარეშე უფრო კარგად მუშაობს. გეთანხმებით, ბანკები სასათბურე პირობებში რომ არიან, ალბათ ლობი ყავთ ხელისუფლებაში და იმიტომაც მოხდა „იბიარდის“ თანხის გადანაწილება ამ ბანკებზე. არ მესმის, თუ დაბალ პროცენტში გვაძლევს „იბიარდი“ ამ თანხას და მოსახლეობას უნდა გადაუნაწილდეს, რატომ ამატებს „საქართველოს ბანკი“ თავის პროცენტს. რატომ აძლევენ ხსენებულ ბანკს ამის საშუალებას და ვისი ინტერესები დევს, ამის უკან, ეს უკვე სხვა თემაა.

როგორც გითხარით, საფინანსო სექტორის მესამე მდგენელი არის საპენსიო ფონდი. ხელისუფლებამ ახლა დაიწყო ამ თემის წამოწევა, მაგრამ ვერ ჩამოყალიბდება და განვითარდება ეს ფონდი იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ არ გვყავს მომუშავე, დასაქმებული ხალხი, რომელმაც ეს ფული უნდა დააგროვოს. როგორც გითხარით, ეს სფეროები ბანკების კონკურენტები არიან, ბანკებს კი იმხელა ლობი ჰყავს, რომ ეს თემა არ წამოიწიოს. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ხალხს ფული არ აქვს, არ მომხდარა სახელმწიფო ქონების განკერძოება. საერთოდ ყველაფერი კერძო საკუთრებიდან იწყება, კერძო მესაკუთრეები ქმნიან კომპანიებს, აწარმოებენ პროდუქციას, შედიან კონკურენციაში, ერთი სიტყვით ქმნიან დოვლათს და შესაბამისად აყალიბებენ სრულფასოვან სახელმწიფოს. ჩვენთან ამ ყველაფერს საფუძველი არ აქვს და შესაბამისად განვითარებულია მხოლოდ საბანკო სისტემა. თუკი კერძო მესაკუთრე არ გვეყოლება, როფორ განვითარდება საფონდო ბირჟა და საპენსიო ფონდი?

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ლიმონა, ფურუნკულები და მეწველი ძროხა, სახელად სახელმწიფო

„ვერსხლი, ვითარცა მიწა და ოქრო, ვითარ თიხა უბნისა, ვიუნჯენ და თაყვანი ვეც ანგარებისა მამონას...“

დავით აღმაშენებელი

ფურუნკული წამომეზარდა და მტკივა...

ფურუნკული რა არის და ძირმაგარაა...

მე ამ ჩემს ფურუნკულს მოვუვლი, მაგრამ ქვეყანამ, სახელმწიფომ რა გააკეთოს – ათასობით ფურუნკული რომ აზის სხეულზე და ჩირქად ადენს სისხლს?

„თეთრი ბაირაღები“ გამახსენა ფურუნკულმა...

„შოშია, ვიცოდი, რომ ფურუნკული იყავი, მაგრამ როდის გასკდებოდი, აი, ეგ არ ვიცოდი“...

გამსკდარია ყველა ფურუნკული, გასმკდარი და გამოაშკარავებულია, გამსკდარია და ჩირქის სუნად ყარს...

ფურუნკულის სუნი ასდის პრემიებსა და დანამატებს... მივლინებების თანხებს, დაფინანსებებს, ტენდერებს... და უამრავ რამეს კიდევ...

მერე იწყება ფურუნკულების ჩხუბი... რა აჩხუბებთ? ფურუნკულს მხოლოდ ფული კი არ აკმაყოფილებს სხვისი, მას სხვისი სახელის, ადგილის, პატივის, სკამის მითვისებაც უნდა... მეტი უნდა, მეტი და მეტი...

ისე, ფრიად სასიამოვნო და საინტერესო სანახავია ერთი ფურუნკული მეორეს როგორ უთითებს, მეორე კი, – პირველს შეახსენებს – შენ უფრო ძველი ფურუნკული არა ხარო? შენ ჩემზე მეტი სისხლი არ გაუწყალე ქვეყნასო? – ეჯიბრებიან ერთმანეთს ჯიუტად ძველი და ახალი ფურუნკულები...

რაღა ძველი და ახალი...

ისევ „თეთრ ბაირაღებს“ მოვიშველიებ, ლიმონა, ქურდი ლიმონა ეუბნება ფლანგველობის ბრალდებით დაკავებულ შოშიაფურუნკულას: „შენ გგონია სახელმწიფო კაცი არ არის? სახელმწიფოს ფული არ უჭირს? მიკვირს სული როგორ უდგას შენისთანა ვირიშვილები ვენიდან სისხლს რომ სწოვენ.. სახელმწიფო რა, მეწველი ძროხა გგონია? თუ არ მეცოდებოდეს, შობელძაღლი ვიყო...“

ეძახე, ახლა, ლიმონას ქურდი...

ეჰ, ლიმონ, ოდესღაც შეიძლება მართლა იყო სახელმწიფო კაცი...

იმდენი ჰქნეს, მეწველ ძროხად გადააქციეს... მაინც გადააქციეს, შობელძაღლი ვიყო...

სიანტერესოა, ახლა რომ შემოვძახოთ ის ცნობილი ფრაზა: „ დილა მშვიდობისა ქურდებოო, დილა მშიდობისა, ყაჩაღებოო, დილა მშვიდობისა, გათახსირებულებოო...“ – რამდენი წამოხტება, რამდენს ეგონება, რომ მას ვეძახით, რომ მას ვგულისხმობთ და რამდენი გამოგვეპასუხება?

ეჰ, როგორ გადაგვიქციეს, ლიმონ, ქვეყანა მეწველ ძროხად...

ყოველთვის, ყველა დროში წველიდნენ, ალბათ, სახელმწიფოს მავანნი, მაგრამ ასე დღისით და მზისით – არა!... ამდენი მშიერი, მწყურვალი და გასაცოდავებული ხალხის თვალწინ – არა!...

უთოფო ყაჩაღები არ გეგონოთ – ახლა კანონებია მაგათი თოფი და ზარბაზანი, კანონებია მაგათი მაკაროვი და შაშხანა...

ჭრიან და კერავენ ამ კანონებს, მერე არღვევენ და ისევ ჭრიან... სანამ მარტო ძაფი არ შერჩებათ ხელთ ამდენი ჭრა–რღვევა–კერვით – არ მოისვენებენ...

ბიუჯეტს ვზრდით და ყოველწლიურად მეტს და მეტს იწველება ჩვენი ძროხაო – გვამადლიან ხოლმე...

მე შარშან თუ შემწვარ კარტოფილს ვჭამდი – ახლა მოხარშულს ვჭამ, ბატონო, აღარ დამიტოვეთ ზეთის საყიდელი ფულიც და იმიტომ და ვისთვის წველით ამ ძროხას, ვისთან მიგაქვთ რძე და ერბო? ყველი და ნადუღი? კარაქი და ხაჭო?

ამოგვიჭამენ ხოლმე ქიშმიშიანი ნამცხვრიდან ქიშმიშს და ხაჭაპურიდან – ყველს – მოგვიგდებენ მერე გამოცლილ, ცარიელ ცომს... სუნი რაა, სუნიც აღარ აქვს შერჩენილი არც ქიშმიშისა და არც ყველის...

ყმა მუშაობდა და ბატონი ჭამდა, ხო?

ასეთ ბატონებს ებრძოდა ილია ჭავჭავაძე, არა?

ასეთი ბატონყმობა გადავარდა მეგონა...

არადა, თუ დავუკვირდებით, ჩვენ ვარჩენთ იმ მეწველ ძროხას – სახელმწიფოს, ჩვენ ვავსებთ ბიუჯეტს – ჩვენ მიგვაქვს ძროხისთვის ბალახი და წყალი, ჩვენ ვასუფთავებთ და ვბანთ – ცურებიდან კი რძე ვერა და ვერ დავაგემოვნეთ...

ცური რომ მოგენატრება ადამიანს!

მიმსხარნი არიან ცურზე მორიგეობით, გულ–მკერდზე ეღვრებათ ქაფქაფა რძე, ეღვრებათ და მაინც სწოვენ... აღარ სჭირდებათ, გულზე ადგებათ და მაინც სწოვენ... ლიმონასი არ იყოს, „ან ნათესავი არ გყავთ გაჭირვებული, ან მათხოვარი არ შეგხვედრიათ ქუჩაში?! ქაშუეთში ერთი სანთელი მაინც დაანთეთ, იმის სანაცვლოდ რომ დადიხართ და ფეხქვეშ მიწა არ გენგრევათ...“

რაო? ვის კადრებთო? – აღშფოთდნენ ფურუნკულები...– რას ჰქვია არავის ვუყოფთ რძეს და კარაქს... აგერ, ოპოზიციურ პარტიებს ვაფინანსებთ, იქეთ სიპ–ებს ვეხმარებით, იქ „ენჯეოები“მოვიმადლიერეთ, აქ – ახლა ჩვენც ხომ ვერ ვივლით მათხოვრებივით – ჩვენც ხომ გვინდა? თან იმდენნი ვართო...

ვის აფინანსებთო? ოპოზიციურ პარტიებსო?

რომელ ოპოზიურ პარტიებს –2 პროცენტზე მეტი ხმა რომ არ მივეცით არჩევნებში, 1 პროცენტზე მეტი ნდობა რომ არ გამოვუცხადეთ – იმ პარტიას აფინანსებთ, ჩვენივე ფულით?

შეკრთა შალვა, ცურზე ტუჩი კინაღამ აუცდა...

რძე მოიწმინდეს პირიდან რესპუბლიკელებმა...

გადაიხარხარეს ნაცებმა – რა კარგ დროს გაგახსენდათ, ღმერთმანიო!

მიიიხედ–მოიხედა ალასანიამ – არ მაქვს ჯერ ჭური ერბოთი სავსე... ცოტა დამაცადეთო...

როგორ ყველას ჭურის გავსებას ჩვენ უნდა ველოდოთ...

როგორ ყველა მთავრობას ჩვენ უნდა ავუშენოთ და გავუვსოთ ბეღელი...

თან რამდენნი არიან...

ჩემი მეგობრის სამსახური გამახსენდა... ორი თანამშრომელი მუშაობს და სამი უფროსი ყავს...

ასე ვართ ჩვენც...

ჩვენზე მეტნი არიან მთავრობა და ხელისუფლება...

რად გვინდა ამდენი ხელისუფალი, ვერ გავიგე...

რას აკეთებს ამდენი კომისია, ვერ დამიდგენია...

რაში სჭირდება ხელისუფლებას ამდენი თამაშრომელი – თავად არ იციან და მე რას გავიგებ...

ეჰ, ძროხამ შემოგვითვალა: – მე რას მემართლებით, კაცი ვიყავი, ძროხად გადამაქციეთ, ცურები – ამათ გადაულოცეთ და რა გიყოთო?

ეჰ, ხბო მაინც არ აგერჩიათ პრეზიდენტადო...

თქვენზე თქვა, მარგველაშვილო – ხბო, ხო თქვენზე... და აფახულეთ ახლა, მაგ დაბნეული და ხბორული მზერით, თვალები...

ნამეტნავად კარგ სადგომში კი ხარ ისე დაბანაკებული, ხბოს პირობაზე...

ახია ჩვენზე...

ამაზეა ნათქვამი: „სიჩქარეში ძაღლმა ბრმა ლეკვები დაყარაო“...

ან, როცა ცხენით მიქრი, მხოლოდ ცხენის ყურებს ხედავ, ამიტომ, უნდა ჩამოხვიდე რომ კარგად გაარჩიო ცხენით მიქრი თუ... ხბოზე ხარ შემომხტარიო...

„არც მგლის მოდგმის ვართ ადამიანები, რომ საჭმლის შოვნისთვის ვიცხოვროთ მხოლოდ და არც კურო ხარი, რომ ბალახი და ძროხები გვჭირდებოდეს მარტო, ერის შვილები თუ ვართ – მკლავებდადაკრეფილი ვერ ვუყურებთ ჩვენს ქვეყანას“... (ჭ. ამირეჯიბი)

მკლავებდაკრეფილი მგლები და ბალახსა და ძროხებს გადაგებული კუროები მოგვიმრავლდნენ...

გეყოთ, საკმარისია...

მერამდენე ბეღელი უნდა აგიშენოთ და აგივსოთ...

კვეთისა და მაწვნის დედა გვჭირდება სასწრაფოდ...

ამ ერთმანეთში აზელილ ძველ და ახალ მაწონს სუნი აუვიდა...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

P.S. აუ, მერე იმათ უშენე თავიდან ბეღლები და უვსე...

დღისით, მზისით მაინც არ გვძარცვავდნენ და გვაცლიდნენ ცურს პირიდან!

ამდენი მშიერი, ამდენი მწყურვალი, ამდენი შეციებული, ამდენი გაღლეტილი და გასაცოდავებული ადამიანის თვალწინ მაინც არ ისხამდნენ თავზე რძესა და ერბოს...

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეორე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ამ საშინელ სიტყვებს გმირული მოთმინებით ისმენდა დედაჩემი, თავადის ასული თამარ მიქელაძე. მას ადარდებდა ერთი რამ: ხომ შეიძლებოდა მამაჩემის ეს სიტყვები ვიღაცას ამპარტავნებად მიეღო - თავი მოეჭრებოდა მთელს ოჯახს! თვითონ კი არასოდეს გაუსვამდა ხაზს მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის დიდი ხნის წინ დადასტურებულ ჭეშმარიტებას: სწორედ მიქელაძეები არიან ისტორიულად ყველასგან გამორჩეული, ყველაზე დიდბუნებოვანი, ყველაზე სულიერი და ყველაზე კეთილი ხალხი მსოფლიოში და, საერთოდ, კაცობრიობა უნდა იყოს ბედნიერი, რომ მიქელაძეებმა ნება იბოძეს და დაეშვნენ უმაღლესი სფეროებიდან ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე და უჩუმრად ასრულებენ ერთადერთ მისიას - აკეთილშობილებენ ადამიანების მოდგმას. ხუმრობა იქით იყოს და ერთს მართლაც ვადასტურებ: მიქელაძეებზე კეთილი ხალხი ნამდვილად არ ვიცი - საჩუქრის გაცემა მათთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა, განსაკუთრებით უპოვართათვის და აუცილებლად კონსპირაციულად.

ასეთია ჩემი ბიძაშვილი, რუსეთში მოღვაწე შესანიშნავი რეჟისორი დოკუმენტალისტი ვახტანგ მიქელაძეც, გენიალური დირიჟორის ევგენი მიქელაძის ვაჟი - სხვისთვის რაიმის ჩუქება სუნთქვის ტოლფასია მისთვის. ერთხელ ქუჩაში შემხვდა, რესტორანში წამათრია და იმდენი დახარჯა, ნახევარი თანხა ჩემთვის რომ მოეცა სამი თვე მეყოფოდა. ეს რომ მეთქვა მისთვის, ყველაფერს ამოიღებდა – გულთან ერთად - და მომცემდა ისე, რომ არც არასოდეს გაიხსენებდა, - თავისი გაკეთებული სიკეთე იმ წამსვე ავიწყდებოდა. ვახტანგი მეუბნება:

- მიქელაძეებზე თუ დაწერ, არ დაივიწყო იმის აღნიშნვა, რომ მიქელაის ქალები ყველაზე კაი დიასახლისები არიან, მიქელაის კაცები კი ყველაზე ვაჟკაცები და ლამაზები მსოფლიოში. (მსოფლიოზე ნაკლებს მიქელაძეები არ კადრულობენ, ევროპა არ ყოფნით).

ვახტანგმა რესტორანში შორიდან ვიღაც უცხო ქალების კისკისი რომ გაიგონა, თავი ასწია, ფართე ფანჯრის შუაში მოძებნა თავისი ანარეკლი, დაკვირდა, საყელო აიწია, თმები შეისწორა და ძალიან კმაყოფილი დარჩა. ქალები როცა ადგნენ და ვიღაცეების თანხლებით გავიდნენ გარეთ, ვახტანგი ისევ მოეშვა, თუმცა გარეგნობაზე კონტროლი არ დაუკარგავს - სუფრის დანა გააპრიალა, შიგ ჩაიხედა და თმები ისევ მოიყვანა წესრიგში. მე ვუთხარი, სტუდიაში როცა გირეკავ საერთო ტელეფონზე, მეუბნებიან, დაიცადეთ, ვახტანგს ახლავე მოგიძებნით, რომელიმე სარკესთან იდგებაო. ვახტანგს გაეცინა, მიგონებენო, მიქელაძეების ყველას შურს, ჩვენ ხომ თამარის ჩამომავლები ვართო.

ვახტანგის ეს ნათქვამი სიმართლე უნდა იყოს. ამ გვარის წარმომავლობა გამოიკვლია მარიკა ლორთქიფანიძემ: თამარ მეფის შვილიშვილმა დავით ნარინმა თავის მესამე ვაჟს - მიქელს იმერეთის სოფელი კულაში უბოძა და მიქელაძეების იმერული შტო აქედან წამოსულა. ასე რომ, სატრაბახო თუ ქონიათ, მიქელაძეებს ქონიათ - თამარ მეფის პირდაპირი შთამომავალნი ყოფილან! მარიკა და გიგა ლორთქიფანიძეები ჩემი დეიდაშვილები არიან. მათი დედა, ნინო მიქელაძე ჩემი ღვიძლი დეიდა იყო (აი ვის ახარებდა ყველაზე მეტად ქართლოსის წარმატება! ცრემლებამდე უხაროდა და ყველას ულოცავდა ნაცნობ-უცნობს. ქართლოსიც სულ კოცნიდა დეიდამისს კისერში და ამბობდა, დეიდას დედის კეთილსურნელი აქვსო). ჩემი საყვარელი ნინო დეიდა, მართლაც არაამქვეყნიური და ანგელოზთმაგვარი, წუთისოფლით სასტიკად გატანჯული, მაგრამ მთელი ცხოვრება ჯიუტად სიკეთის მთესველი არსება. ყველაფრის ამტანი ეს ლამაზი, მცენარესავით დაუცველი მარტოხელა ქალი, დღეში 16-17 საათს მუშაობდა გროშებისთვის. დასნეულდა, მაგრამ მაინც არ გატყდა და შვილებიც გაზარდა. კარგადაც გაზარდა. უძველეს არისტოკრატულ ოჯახში დაბადებულს სიცოცხლე გაუმწარეს - მიქელაძეები ხალხის ექსპლოატატორები და სისხლისმსმელები ხართ და აუცილებელია თქვენი განადგურებაო. და ანადგურებდნენ კიდეც! ხომ მოსპეს, დახვრიტეს, ოჯახიანად გაანადგურეს, დაიჭირეს, აწამეს, დააზეიბრეს, წლობით ციხეებსა და კონცენტრაციულ ბანაკებში გამოკეტეს მილიონობით ადამიანი მთელი „ერთიანი სოციალისტური ბანაკის ტერიტორიაზე“, რომელთა დანაშაული იყო მხოლოდ ის, რომ მიეკუთვნებოდნენ „სხვათ“ ანუ იყვნენ განათლებულნი, წესიერნი და აბსოლუტურად დაუცველნი... (მაპატიოს მკითხველმა, ხშირად რომ გადავუხევ ხოლმე თემას, როცა ირიბად მაინც ამოტივტივდება კომუნისტების დანაშაულობანი, მაგრამ იმდენი ტკივილი დაგროვდა წლების განმავლობაში, რომ თავს ვერ ვიკავებ და ისევ და ისევ ვუბრუნდები ხოლმე ამ ამბებს. განუწყვეტელი სურვილი მაქვს ავუხსნა ახალ თაობას, თუ რა საშინელება გადაიტანა ჩვენმა



ადამჯდარი ირაკლი ონოფრიშვილი წყნარად, ქართლური სიდინჯით მოქმედებდა. ვახტანგ რურუა კი, მისი უსაზღვრო ფანტაზიით, მსუბუქი იუმორის გრძნობითა და შრომისმოყვარეობით მუშაობის ხალისს მატებდა ყველას. მე ჯგუფს გადაღებების დაწყების წინ შევუერთდი. 1971 წლის ივნისში „დარიალის ჩანახატებით“ დიპლომი დავიცავი და

კადრი ფილმიდან „ლაზარე“

- და არა მარტო ჩვენმა - ხალხმა და რამენაირად შევაგნებინო, რომ უღმერთობა და თავდაჯერებული ე. წ. „მეცნიერული“ ათეიზმი გადაგვარებასა და სრულ გაპირუტყვებას იწვევს)...

* * *

მოკლედ, „სერენადის“ წარმატებამ თავბრუ დაგვასხა ყველას. ყველას - ქართლოსის გარდა. ის უკვე სხვა ფილმზე ფიქრობდა. ერთხელაც, ერთ სუფრაზე ქართლოსმა გაგვანდო: ლევან მალაზონიამ „ლასარილიო ტორმესელის“ სცენარის დაწერა შემომთავაზა და მეც ამ ფილმის გადაღება მომინდაო. კარლო ღლონტს წაკითხული ქონია ეს ანონიმური ესპანური ნოველა, სიხარულით სტაცა ჭიქას ხელი და იყვირა:

- ლაზარეს გაუმარჯოს, ლაზარეს!.

* * *

და დაიწყო „ლაზარე“.

„ლაზარეს თავგადასავალზე“ მუშაობას ქართლოსი 1970 წლიდან შეუდგა. ჯგუფი აწყობილი საათივით მოქმედებდა. ქართლოსი მთელ ჯგუფს შეუმცდარ ბრძანებებს აძლევდა და თავდავიწყებით მუშაობდა სინჯებზე მსახიობებთან. ჭკუთბილისში ჩამოვედი - ქართლოსმა მთხოვა, ჩემთან იმუშავეო, ახალ ფილმს ვიწყებ და მეორე რეჟისორი არ მყავსო. მეც უმალ დავთანხმდი: სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმზე მეორე რეჟისორად მუშაობა ჩემთვის დიდი პრაქტიკა იქნებოდა. ზაფხულში საქმე უკვე გახურდა. ვიღებდით კავთისხევში, წინარეხში, ქვათახევში, ქუთაისში...

აგვისტოში წინარეხში კარლო ღლონტისა და სოსო ჩხაიძის დეპეშა მივიღე. მილოცავდნენ: შვეიცარიის ფესტივალზე შენმა „დარიალმა“ მთავარი პრიზი მიიღოო. გაგვიხარდა ყველას. მაშინდელ დროს ქართულ (და საერთოდ მცირე ერების) ფილმებს იშვიათად უშვებდნენ საზღვარგარეთ - ეშინოდათ პრიზები არ მიეღოთ და ამით ჩვენი ავტორიტეტი არ აწეულიყო. ეს ახლაა, ქართული კინო პრიზებით რომაა განებივრებული, თორემ მაშინ უცხოური პრიზები იშვიათობა იყო. თუმცა საკმარისი იყო რომელიმე ქართულ ფილმს გაერღვია საბჭოთა საზღვარი - პრიზი გარანტირებული ჰქონდა. როგორ მოხვდა ჩემი ფილმი შვეიცარიაში, არც მაშინ ვიცოდი, არც ახლა ვიცი. პრიზის შესახებ გაზეთებიდან შევიტყვეთ. (პრიზი დღემდე თვალითაც არ მინახავს, სადღაც ინახებაო, მოსკოვის ტელეკინოარქივებშიო... იქნებ დაიკარგა კიდევაც). მაშინ კი სიხარულით ცაში დავფრინავდი. მიწაზე დედაჩემმა ჩამომაგდო. გულწრფელი სიხარულისა და მოლოცვის შემდეგ უცბად თქვა:

- თავში არ აგივარდეს, ნამეტანი ნუ გაიფხორები, ნუ ყოყოჩობ რაღაცას! რეჟისორების ამბავი კარგად ვიცი. საკმარისია თქვენზე უფრო სულელმა შეგაქოთ, ისე გაიბღინძებით, თითქოს უკვდავების წამალი გამოიგონეთ. იცოდე, წარმატება წარუმატებლობაზე უფრო სერიოზული გამოცდააო.

მამაჩემი ამ სიტყვებმა გააბრაზა:

- ამ გინეკოლოგებს ყურს ნუ უგდებ, შვილო, ჩვენ მათთვის მხოლოდ პოტენციური პაციენტები ვართ, - საკუთარი ხუმრობა მაინცადამაინც არც მოეწონა და კიდევ უფრო გაბრაზდა, თუმცა იქვე ჩაქრა და თანაგრძნობით თქვა, ამდენი რეჟისორის ხელში, კიდევ კარგ ჭკუაზეაო. შემდეგ გამამხნევებლად წამომარტყა ზურგზე ხელი და შემაგულიანა:

- წელში გასწორდი, ბიჭო, ასწიე ზეით თავი! ხელოვნება ხომ დღესასწაულია ავტორისაც, მაყურებლისაც და მაღალი ღმერთისაც! გაიხარე, ბიჭო, გაიხარე, სიხარული არ დათრგუნო, ეს უფრო დიდი ცოდვაა!..

* * *

ცოტა ადრე ქართლოსის „სერენადამაც“ როგორღაც მოახერხა, გაარღვია საბჭოთა რკინის ფარდა (მიუხედავად იმისა, რომ მარსელ კარნესათვის, თუ არ ვცდები, საბჭოთა კავშირიდან გასვლისას, საზღვარზე „სერენადის“ ასლი ჩამოურთმევიათ და აღარც დაუბრუნებიათ) და მიიღო რამდენიმე სერიოზული საერთაშორისო პრიზი. ჩვენი განწყობაც საზეიმო იყო. მთელი მსოფლიო ჩემი მეგონა...

* * *

„ლაზარეს“ კი უკვე გორში ვიღებდით. ვმუშაობდით დღედაღამ. მასალაც საუკეთესო გამოდიოდა და უცებ, სექტემბერში ისეთი რამ მოხდა, რამაც მთლიანად შეცვალა ჩვენი და, საუბედუროდ, სხვების ცხოვრებაც... ამ ამბის გახსენება დიდ ტკივილს იწვევს ყველაში, ვინც კი საქმის კურსშია და ამიტომ აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი, მხოლოდ, რომ საქმე ეხებოდა პირადულს და ამის შემდეგ ქართლოს ხოტივარი სამუდამოდ ჩამოსცილდა კინოს...

(გაგრძელება იქნება)

კადრი ფილმიდან „ლაზარე“

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

ქალდეველები იყვნენ ის ვარსკვლათმრიცხველი წინასწარმეტყველები, რომლებმაც ყრმა იესოს თაყვანი სცეს. სწორედ ამიტომ, მათთვის სულიერი მომენტი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მატრიალური. ის ხალხი ქმნიდა სულიერ ველს ქრისტეს დაბადებამდე 2 000 წლით ადრე, ფაქტობრივად, მომზადდა ყველაფერი ამ სამყაროში ახალი ღმერთის შემოსასვლელად. ცნობიერად მომზადებული დახვდა იესოს მთელი სამყარო. ძველი აღთქმა უკვე დაწერილი იყო, სწორედ ამიტომ, უკვე ხორციელობაში მოვიდა აღმწერი. ამდენად, ბიბლიაში ქალდეველები განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ.

ებრაელებს მერე გააქვთ ცოდნა ქალდეადან, ავრცელებენ და დღეს ჩვენ ისე გვაწოდებენ, თითქოს ეს ცოდნა სემიტურია, სინამდვილეში, ამ ყველაფრის უკან ერთიანი მესხურ-კოლხური და საერთო კავკასიური სივრცე იდგა.

ბიბლიის დაშიფვრის სამი მეთოდი არსებობს (ნოტარიკონი, თემურა, ჰემატრია -ავტ), მაგრამ პირველი ორი ლექსიკური ფორმაა და რადგან ცნობიერში სერიოზული ძვრები მოხდა 2 000 წლის წინ და ფაქტობრივად, ათასწლეულში უკვე ენობრივი ძირი განახლდა, მათი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, მათი ალბათობა მცდარია.

ჯერ კიდევ 1912 წელს წერდა ამის შესახებ ცნობილი მკვლევარი ალისტერ კროული, რომ არც ერთი და არც მეორე მეთოდი არ გამოდგებოდა. ერთადერთი, რომელიც რიცხულ ანალიზს ეყრდნობოდა, ეს ჰემატრია იყო და ის შეიძლება გამოეყენებინათ, მაგრამ რომელ ლექსიკაზე ვიყენებთ, ამასაც ხომ გააჩნია? ძირითადად უცვლელი რჩება ტოპონიმიკა და ღმერთთან დაკავშირებული საკითხები, რადგან ამ საკითხებს ეთნომეცნიერება უფრთხილდება, ღმერთების სახელები კი ერთი ხელის დაკვრით არ იცვლება. სწორედ ამაზე დაყრდნობით, დღეს უკვე ათასამდე სიტყვა გვაქვს ისეთი, რომელთა ჰემატრიულ წარმოშობაშიც ეჭვს ვერ შევიტანთ.

ამ ყველაფერზე მე გავედი სწორედ იოანე ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვრის შედეგად. იოანე ზოსიმე თავის ნაშრომში წერს, რომ ქართული უფლის ენაა, სხვაზე აღმატებული და უკეთესი და მეორედ მოსვლის ჟამს ამა ენითა ამხილოს ღმერთმა სხვა ენები. აქედან გამომდინარე, რა ნახა იოანე ზოსიმემ ისეთი თავის კვლევებში იქამდე, რომ ქართული უფლის ენად მიიჩნია? როგორც აღმოჩნდა, იოანე ზოსიმეს მთელი ხელნაწერი ჰემატრიითაა დაშიფრული — ეს მე ალბათურად სრულიად ცხადად დავადასტურე და ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ამიტომ ის ასი ნაშრომი, რომელიც იქამდე იოანე ზოსიმეს კვლევებს ეხებოდა და ლექსიკურ ფორმებს განიხილავდა, რბილად რომ ვთქვათ, ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ კრიტიკას.

რადგან დაშიფვრის მეთოდი, ჰემატრია ვიპოვე, ამის შემდეგ ძველი ქართულის უმთავრესი კითხვების ანალიზი დავიწყე იმავე მეთოდით. აღმოჩნდა, რომ ძველი ქართულის უმთავრესი ასტრონომიულ-სარწმუნოებრივ-კალენდარული ლექსიკა შექმნილია სწორედ ჰემატრიაზე დაყრდნობით. იმ პერიოდისთვის, როცა გრაკალს გრაკალი დაერქვა, ეს იყო ძვ. წ.აღ-ის II ათასწლეულის შუა პერიოდი.

გრაკალის ჰემატრიული ანალიზი კიდევ საოცარ ინფორმაციას გვაწვდის მასზე. როგორ გგონიათ, რა მივიღე? — ქურუმთა სიმბოლო-რიცხვი და მზის გადახრის კუთხე.... დასკვნაც ასეთია — მზის თაყვანისმცემელ ქურუმთა ტაძარია...

გრაკლიანიდან

გვერდს ვერ ავუვლით „გრაკლიანის თემას“, ამდენად, რაც ამ დროისთვის ამ აღმოჩენაზე ითქვა, მოკლედ მოვხაზოთ.

2007 წელს, თბილისი-სენაკის გზატკეცილზე, იგოეთის მონაკვეთში, გრაკლიანის გორაზე ავტობანის მშენებლობისას არქეოლოგებისთვის უნიკალური აღმოჩენის წინაშე დადგნენ. გრაკლიანის გორა იმდენად „ნაყოფიერი“ აღმოჩნდა, რომ ორი თვის განმავლობაში 35 000 ექსპონატი მოიპოვეს. ნაპოვნია ძვ.წ VIII-I საუკუნეების პერიოდის ასობით სამარხი და ნასახლარი, თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და ოქროს ნივთები; სამკაულები; საყოფაცხოვრებო და საბრძოლო დანიშნულების იარაღები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებული ოქროსა და ბრინჯაოს დისკოები, რომელიც, ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიის დამადასტურებელია. გრაკლიანის არტეფაქტების უნიკალურობას ადასტურებენ უცხოური სამეცნიერო წრეებიც.

კავკასიაში, გრაკლიანში, პირველად აღმოჩნდა იურიდიული დოკუმენტების საბეჭდავები რომლებიც მესოპოტამიაში, ურუქშია დამზადებული. მსგავსი იშვიათი ექსპონატები მხოლოდ უმაღლესი რანგის მუზეუმებს, ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმსა და ლუვრს ამშვენებს...

ეს არის 6 000 წლის წინანდელი ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ დამწერლობის ჩამოყალიბებამდე გამოიყენებოდა იმის დასადასტურებლად, რომ ესა თუ ის დოკუმენტი ნამდვილია, სავარაუდოდ, სავაჭრო ურთიერთობის დასარეგულირებლადაც — ასეთი რამ მხოლოდ სამხრეთ მესოპოტამიაშია აღმოჩენილი. უფრო გვიანი ნახეს ანატოლიაში, შემდეგ კი გავრცელებას იწყებს დასავლეთ რეგიონებში. როგორც ჩანს, ეს ნივთები პირდაპირი ურთიერთობის წყალობით მოხვდა ჩვენთან.

გრაკლიანის ფარფერა

აღმოჩენილია იმ ადამიანების ჩონჩხებიც, ვინც მათ იყენებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აქაურ საზოგადოებას განვითარების მაღალი დონე ჰქონდა — ცნობდა იურიდიული შეთანხმების ძალას.

ნაპოვნია ორმაგპროტომიანი ქანდაკებით შემკული საკურთხეველი, რაც წინ უსწრებს აქამდე ცნობილ ყველა ორმაგპროტომიან ქანდაკებას როგორც ანატოლიის ტერიტორიაზე, ისე საბერძნეთსა და დასავლეთ საქართველოში, რაც ძალიან ბევრ ისტორიულ თეორემას ცვლის. (პროტომა — ცხოველის ან მითოლოგიური ცხოველის სხეულის წინა ნაწილის გამოსახულება. ანტიკურ სამყაროში ხშირად გამოსახავდნენ ჭურჭელზე, კოლონებზე, ფასადზე) აქამდე მიიჩნეოდა, რომ ძვ. წ V-IV საუკუნეებში ქართლი ეკონომიკურად დაკნინებული და დეგრადირებული რეგიონი იყო, გრაკლიანის აღმოჩენებმა კი სრულიად საპირისპირო რეალობა აჩვენა...

გრაკლიანის გორის არქეოლოგიური შრეების ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს ამ ტერიტორიაზე ადამიანის განსახლების 1,5-2 მლნ წლის ისტორიას, რაც საკმაოდ შთამბეჭდავია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძვ. წ. V-IV საუკუნეების მთლიანი არქიტექტურული ფორმები და დასახლება, რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. ექსპონატებს შორის უამრავია განსაკუთრებით გამორჩეული, მათ შორის არის უნიკალური, მხატვრული დეკორით შემკული საკრალური ღუმელი, რომელსაც ასევე არ აქვს ანალოგი მსოფლიოში.

გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლის კვლევისას 2015 წლის აგვისტოში ძვ. წ. აღ-ით VII საუკუნის ტაძარი აღმოაჩინეს, რომლის საკურთხეველზე უცნობი დამწერლობის წარწერა გამოვლინდა. მეცნიერთა ეჭვშეუვალი ვარაუდია, რომ გრაკლიანის ტაძრის 2 700 წლის წინანდელი სრულიად შეცვლის მსოფლიო დამწერლობის ისტორიას.

და აი, ისევ რაღაც მავნე „ფენომენს“ წავაწყდით! საამაყო ისტორიული აღმოჩენის კვალდაკვალ მავანთა მიერ დაიყარა ხმები, რომ საქმე ისე არ არის, როგორც წარმოაჩენენ, რადგან გრაკლიანის დამწერლობაში თურმე ძველი არამეული ასოები იკითხება. ფაქტობრივად, საკუთარი ქვეყნის ისტორიული ფესვების კიდევ უფრო წინ წაწევით გახარებულ ადამიანებს ცივი წყალი გადაასხეს ერთი ხელის აღებით — „არის რეალურად გრაკლიანი საამაყო აღმოჩენა თუ კიდევ ერთხელ გახდა სასაცილო ქართველ მეცნიერთა კორპუსი ვახტანგ ლიჩელის მეოხებით დაცინვის ობიექტი ცრუ განგაშისთვის? მეცნიერულ აფიორასთან გვაქვს საქმე თუ არაპროფესიონალიზმთან?“ საქმე იმაში გახლდათ, რომ გრაკლიანის არქეოლოგიურ ექსპედიციას ის ვახტანგ ლიჩელი ხელმძღვანელობდა რომელმაც 10 მეცნიერთან ერთად საყდრისის უძველეს მაღაროზე უარყოფითი დასკვნა დადეს რის შემდეგაც საყდრისის განადგურება გადაწყდა. შაყდრის დამცველების პროტესტი იმგვარ მიმართულებას იძენდა, რომ თითქოს გრაკლიანით საყდრისის დამანგრეველთა რეაბილიტაცია ხდებოდა.

(ამონარიდი) „გავრცელებულ ფოტოებზე მარკირებულია არამეული ანბანის ასოები რითიც იკითხება „ხეთი“, „ალაფი“, „ლამადი“, „ვავი“, „კაფი“ — სხვა ნიშნები გაურკვეველია, მაგრამ თითქოს მთლიანობაში სვასტიკას“ (მის შესახებ მოკლედ უკვე ვისაუბრეთ) ქმნის. შემდეგ იკითხება „სადე“, რომელიც ძვ. წ. აღ VI-საუკუნეში და 350-300 წლებშიც სწორედ ასე იწერებოდა. აღმოჩენილი წარწერების მოყვანილობა ყველაზე მეტად ჰგავს სელევკიდების პერიოდის (350-200 წწ. ძვ. წ. აღ-ით) არამეულს, უფრო ზუსტად, ამ წლებში ასე გამოისახებოდა. ასე რომ, ვინც „სენსაცია“ დაიჯერეთ, იმედები უნდა გაგიცრუოთ: აღმოჩენილი წარწერა არანაირ „სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას“ არ მიეკუთცნება და შესრულებული უნდა იყოს ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული არამეული ანბანით. Aსოების მოყვანილობით თუ ვიმსჯელებთ, ის შეიძლება 2300-2350 წლის წინ იყოს შესრულებული და არა 2700 წლის წინ“ — ვინ არის ავტორი ხსენებული ამონარიდისა, გაურკვეველია, თუმცა ეჭვის გვარიანი მარცვალი ჩაიგდო...

ბევრმა არ იცის, რაც ბატონმა გოდერძი ნარიმანიშვილმა თქვა, რომ არქეოლოგები ათეული წლების განმავლობაში ელოდნენ ამ ძეგლის გათხრას. მის მნიშვნელობაზე სამანქანი გზის პირას გაშიშვლებული დანწვარ-დანახშირებული ფენები მიუთითებდა და პირველად იულონ გაგოშიძემ წამოიწყო გათხრები. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ნავთობის მილის ჩადების დროს დაზიანდა მძლავრი კულტურული ფენები. მაშინ გამოჩნდა თავდაცვითი კედლის თუ კოშკის ნაშთი. დიდი რაოდენობით აღმოჩენილი არტეფაქტები ელინისტურ ხანას (ძვ.წ. 3-1 სს) მიეკუთვნებოდა. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით რამდენიმე ექსპედიციაც მოეწყო გრაკლიანზე. რამდენიმე წლის მუშაობამ აჩვენა, რომ ძრგლი სხვადასხვა ეპოქის ფენებს შეიცავს, თუმცა ძვ.წ პირველ ათასწლეულში ის განსაკუთრებით ყოფილა ათვისებული.

გრაკლიანის გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების 300 000-წლიანი უწყვეტი ციკლი დადასტურდა. მსოფლიოში არ მოიპოვება გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილი ტაძრის საკურთხევლის ბაქნის ანალოგი რომელიც დიდი დედის კულტთან არის დაკავშირებული. დიდი დედა, იგივე ღმერთების დედა საკურთხეველთანაა გამოსახული; გარდა ძვ.წ. IV ათასწლეულის საბეჭდავებისა (ურუქში აღმოჩენილის ანალოგი) აღმოჩენილია ძვ.წ V—IV საუკუნეებით დათარიღებული ოქროს დისკო, რომლის ერთადერთი ანალოგი ქ, სუზაშია (ირანი)...

რაც შეეხება წარწერის არამეულ ვერსიას, თუ კარგად დავაკვირდებით, რისი მარკირებაც სურდათ, მხოლოდ ის კონტურებია მოხაზული, სხვები გამოტოვებულია, რაც ეჭვს აჩენს რომ არამეული კი არა, ქართული რუნებია ან პროტოასომთავრული.

რეალურად რა აღმოჩენაა „გრაკლიანი“, ამას დროის მდინარება გამოაჩენს, ალბათ, თუ მანამდე საერთოდ არ გაქრა (გააქრეს) მისი კვლევით დაინტერესება, მაგრამ არქეოლოგების ნაწილის ნათქვამი ფრაზა, რომ „გრაკლიანის დამწერლობა“ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთს შეცვლის, ან დასადასტურებელია, ან უარსაყოფი; ან ერთია სიმართლე, ან მეორე...

ცნობისთვის, არამეული დამწერლობა ქრისტეს შობამდე 2700 წლის წინ, მით უმეტეს კავკასიაში, წარმოუდგენელია. ამ დამწერლობაზე და კულტურაზე ლურსმნული დანწერლობის ნიმუშები მეტყველებენ. ამ პერიოდისათვის ქართული გენეზისი ჩრდილოეთ მესოპოტამიის კულტურაში მოიაზრება, ტაო-კლარჯეთის სამხრეთით ე.წ ჰურით-სუბერთა ანუ ქართ-ჰიბერთა ეთნოსის სახით...

(გაგრძელება იქნება)

მომავლის მსოფლიო - ელექტრონული საკონცენტრაციო ბანაკი ადამიანებისთვის

ანტიქრისტეს წინამორბედნი პიროვნების ციფრული იდენტიფიკაციის ტექნოლოგიის შემდეგ - ბიომეტრიის დანერგვას აპირებენ. ეს გახლავთ, ადამიანისათვის, რომელიც უფლის შემოქმედების გვირგვინის წარმოადგენს, ღვთის მსგავსების წართმევის კიდევ ერთი მცდელობა. სწორედ ამას ითხოვს დღეს მსოფლიო ელექტრონული საკონცენტრაციო ბანაკის სისტემა ადამიანებისგან. ცდილობს თავის დაქვემდებარებაში პიროვნების მონაცემების მოქცევას, მათ შორის ადამიანის ინდივიდუალურ ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ქცევითი თავისებურებების ამსახველი დეტალური ინფორმაციის ფლობას, ეს ყოველივე ადამიანის სხეულის უნიკალურ დახასიათებას წარმოადგენს. ასეთ დახასიათებათა შორისაა - პროგრესული კომპიუტერული სისტემის ბიომეტრიული მონაცემები: ხელის თითების ანაბეჭდები, თვალის გარსისა და ბადურის სტრუქტურა, სახის ფორმა, ხელის მტევნის, ხელისგულის, თითის, ყურის აგებულება, სახის სითბური პორტრეტი, ხელებზე ვენების ნახაზი, ხელებსა და ფეხებზე თითების მოცულობა, ფრჩხილებქვეშ მოთავსებული კანის სისქე, ხმა, სიარულის მანერა, სხეულის სუნი, ხელმოწერის დინამიკა, კლავიატურული აკრეფის დინამიკა, კარის საკეტში გასაღების გადატრიალების სიჩქარე, ტუჩების მოძრაობა, გენეტიკური კოდი (დნმ). ყოველ ადამიანს სთავაზობენ თავისი თავის „სრულად“ წარმოჩენას საბუთებში, რომლებიც პიროვნების მოწმობის ფუნქციას ასრულებენ. ესაა პლასტიკური ბარათები, რომლებიც ერთიანი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაა შემუშავებული, სადაც ადამიანის ბიომეტრიული მონაცემები მისი პირადი კოდის მქონე მიკროჩიპზეა ჩაწერილი. პროცესს, რომლის დროსაც ადამიანის რეალური ბიომეტრიული პარამეტრების ფარულ დეტალებს.

გარდა ამისა, ისეთ მონაცემებს, რომელთა შესახებაც თვითონ ადამიანმაც არ იცის არაფერი. ადამიანის თვალის გარსის მიხედვით ირიდოდიაგნოსტიკის მეშვეობით შეიძლება დადგინდეს არამხოლოდ ადამიანის დაავადებათა მთელი სპექტრი, არამედ, ის დარღვევებიც, რაც შეიძლება მას მომავალში განუვითარდეს, შეიძლება შემოწმდეს მისი ძვლოვანი და კუნთოვანი ქსოვილის, სისხლისა და ლიმფატიკური სისტემის, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მდგომარეობა, ასევე მისი ფსიქო-ემოციონალური მდგომარეობა იმ მომენტისათვის, მისი შინაგანი რეაქცია გარემოზე. გენეტიკურ კოდში, კი რომელიც დნმ-ის მოლეკულებშია მოთავსებული, ჩაშიფრულია მთელი ინფორმაცია ადამიანის მემკვიდრეობის შესახებ, დნმ-ში ჩაწერილია ადამიანის მთელი სიცოცხლის ციკლის პროგრამა, - ჩვენ მთლად გაგვაშიშვლებენ უსულო, ულმობელი კომპიუტერული სისტემის წინაშე. და არამხოლოდ ჩვენ, არამედ ჩვენს წინაპრებსა და შთამომავლებს. რომელი ჩვენთაგანი არ იცნობს თავის ფესვებს, თავის გენეოლოგიურ ხეს? იმ ძალებს, კი რომლებიც ზემაღალ ტექნოლოგიებს თავისი აგრესიული, არაადამიანური მიზნების განსახორციელებლად იყენებენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უკვე მომდევნო ათწლეულში შეიქმნება ახალი ტიპის ბიოლოგიური იარაღი.

როდესაც დადგა სახელმწიფო გენეტიკურ მონაცემთა ბაზის შექმნის საკითხი, გენეტიკის პროფესორმა ჯეფრისმა, რომელიც გახლავთ დნმ-ის იდენტიფიკაციის სისტემის გამომგონებელი, განაცხადა: საქმე ძალიან შორს წავიდა! პროფესორი თვლის, რომ მის აღმოჩენას პოლიტიკურად არასწორად იყენებენ. იგი ამ ყოველივეს დისკრიმინაციას უწოდებს და აცხადებს, რომ დნმ-ის ინფორმაცია არ უნდა იქნას გამოყენებული უდანაშაულო ადამიანთა წინააღმდეგ. მოცემულ მომენტში დნმ-ის მონაცემთა სახელმწიფო ბაზები იქმნება აშშ-ში, ბრიტანეთში, რუსეთსა და სხვა რიგ ქვეყნებში. თავდაპირველად აუცილებელ დნმ რეგისტრაციას სამხედროები, მფრინავები, საგანგებო სამსახურის თანამშრომლები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები გაივლიან. ამ კატეგორიის მოქალაქეებისგან ანალიზისათვის სისხლის წვეთს აიღებენ, რომელიც შემდგომ სპეციალურ პირობებში შეინახება...ბიომეტრიულ მონაცემთა შეგროვება, მათი ელექტრონულ საბუთებსა და მონაცემთა ბაზაში მოთავსების მიზნით, არღვევს ადამიანის ღირსებას და ფიქციად აქცევს კონსტიტუციურ ნორმებს, მათ შორის: თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, პირადი და საოჯახო საიდუმლოების უფლებას.

სპეციალისტების აზრით, ნებისმიერი ბიოკოდი, უფრო მეტ ინფორმაციას იტევს თავის თავში, ვიდრე ეს პიროვნების უბრალო შემოწმებისთვისაა საჭირო. თვალწინ გვაქვს მონაცემთა ბოროტად გამოყენების შესაძლებლობანიც - სამსახურში მიუღებლობის დისკრიმინააციული მომენტით დაწყებული, პირდაპირი შანტაჟით დამთავრებული. არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. იქედან გამომდინარე, რომ ბიომეტრიული მონაცემები ინახება კომპიუტერულ არქივებსა და მონაცემთა ბაზებში, არ არსებობს მათი გატეხვის, შეცვლის, მოპარვისა და განადგურებისგან დაცვის გარანტია. ასეთი შემთხვევები უკვე დაფიქსირდა აშშ-ში 2002 წლის ბოლოს, როდესაც თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო დოსიეებიდან დეტალური ინფორმაციები იქნა მოპარული. მათში ნახევარი მილიონი სამხედროს შესახებ დეტალურ მონაცემები იყო ასახული. გარდა იმისა, რომ ადამიანი სრულიად შიშველი და დაუცველი წარმოუდგება ცივ და სასტიკ ავტომატურ სისტემას, რომელიც ადამიანის გამოყენებას თავისი მიზნების განსახორციელებლად ისახავს, იგი ამ სისტემის წინაშე გონიერი ადამიანის სახით კი არა, უსულო საგნის სახით წარმოდგება. თუ იდენტიფიკაცია - ეს ადამიანისათვის ახალი სახელის მიკუთვნების ფორმაა, რომელიც მას ჯოჯოხეთის ძალებს მიაკუთვნებს, მისი შემდგომი დანიშვნა, ადამიანისათვის სახელის დარქმევა ნომრის მიხედვით, შემდეგ ამ ნომრის მეშვეობით მისი მოძიება სხვა ნომერთა შორის, მონაცემთა ძიება, რომლებიც ელექტრონულ ბაზაში ამ ნომრით ინახება, მაშინ აუტენტიფიკაცია - ესაა საბუთის მფლობელის ვინაობის დადგენა და მისი ამოცნობა. ნომრის დაზუსტება, იმის დადგენა, რომ ეს საბუთი ნამდვილად კონკრეტულ ადამიანს ეკუთვნის.

ამრიგად, ადამიანს არამხოლოდ ნივთიერივ მოეპყრობიან, არამედ მასთან შეხვედრა და მისი ამოცნობაც უსულო ნივთის მსგავსად მოხდება, ანუ ადამიანი იქნება ნივთი, ნივთთა შორის. ადამიანი უკვე აღარ შეხედავს სახეში მოსაუბრეს იმისათვის რათა დარწმუნდეს, რომ ეს სწორედ ის პიროვნებაა, ვინც სჭირდება, არ გაესაუბრება მას რაიმე დეტალის დაზუსტების მიზნით. ადამიანური ურთიერთობა საჭირო აღარ იქნება, პიროვნებას ამოიცნობს უსულო, არაადამიანური მანქანა, ავტომატურ მეთოდზე დაყრდნობით. ადამიანი თითქოს გაორდება: მისი ვირტუალური ასლი, ციფრული სახით შეინახება მონაცემთა ამაზე უფლის ხატების შეურაცხყოფა როდი სრულდება. ადამიანები არ არიან დაზღვეულები იმისგანაც, რომ ბიომეტრიული მახასიათებლების აღების დროს, მას არ დაატანენ თან თვალისათვის უხილავ ნიშნებს. გარდა ამისა, ამა თუ იმ ბიომეტრიული პარამეტრების აღებისას ადამიანის სხეული და მისი გრძნობითი ორგანოები გაურკვეველი სიმძლავრის, ინტენსივობის, სიხშირის, კონცენტრაციისა და სხვა სახის სივრცით-დროებითი მახასიათებლების ფიზიკური ველის ზემოქმედებას განიცდიან. რაც შესაძლოა მომავალში ადამიანის ჯანმრთელობისათვის გაუთვალისწინებელი შედეგებით დასრულდეს, ან გავლენა იქონიოს მის შთამომავლობაზე... ავტომატური იდენტიფიკაციის პრინციპების თანახმად, ადამიანის საიდენტიფიკაციო კოდი, საბოლოოდ ადამიანს ფიზიკურ სხეულზე დაეტანება. ამ ბოლო დროს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უფრო მეტ გამოყენებას პოულობენ საიდენტიფიკაციო რადიო ნიშნულები და ჩიპები, რომლებიც ეკრობა საქონელს, სატრანსპორტო საშუალებებსა და ადამიანის კანს, ასევე იდგმება ბრელოკებში, ბეიჯებსა და ფულის კუპიურებშიც კი. სულ უფრო ფართო გამოყენებას ჰპოვებს მთელი მსოფლიოს მაშტაბით ადამიანის ორგანიზმში იმპლანტერებადი რადიოგადამცემი, მიკროპროცესორული ხელსაწყოები „ციფრული ანგელოზები“.

ყველაფერი იქეთ მიდის, რომ 10-20 წელიწადში, ჯერ კიდევ ახლანდელი თაობის უმეტესი ნაწილის სიცოცხლეშივე, დღევანდელი „ბონიერი ადამიანი“ გადაიქცევა ე-ჰომო-თ -ელექტრონულ ადამიანად. ესაა ახალი სახეობა, რომელიც ბოლოგიურად გონიერი ადამიანის სახეობას ეკუთვნის, მაგრამ მახასიათებლების მიხედვით მისგან განსხვავებულ, ელექტრონიკასთან, მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებთან და ინტერნეტთან შერწყმულ სიმბიოზს წარმოადგენს. ნელ-ნელა მოხდება ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა სახის გადამცემებისა და ხელსაწყოების ჩანერგვა, რომელთაც უკვე მიანიჭეს მოლეკულური რობოტების სტატუსი... ადამიანის სხელი სულ უფრო და უფრო მეტად გამჭვირვალე და მართვადი გახდება. ახალ ტექნოლოგიებს ე-ჰომო-ს ფსიქოლოგიის კორექციისათვის გამოიყენებენ - აგრესიის შეზღუდვისათვის, ტკივილის ბლოკირებისათვის, ძალების მობილიზაციისათვის ...“ადამიანს „ელექტრონულ უკვდავებას“, ასევე ყოვლისმომცველი მეხსიერებისა და ცოდნის ფლობას, მშვენიერ სხელს, გიგანტური ძალაუფლების ფლობას შესთავაზებენ. ადამიანს ჩიპიზირებულ, ელექტრონულ „ვირტუალურ სამოთხეში“ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრ ბოლონკინიც ეპატიჟება. აშშ-ს საჰაერო სამხედრო ძალებისა და ნასას (აშშ-ს კოსმოსური კვლევების ნაციონალური სააგენტოს) უფროსი მეცნიერ თანამშრომლის განცხადებით, ხელოვნური ადამიანი - ე-არსება - ბიოლოგიური ადამიანის პროტოტიპია, იგი ჩიპებისა და ზეგამძლე მასალებით იქნება აღჭურვილი. მისი ტვინი რადიოაქტიური დამტენების მეშვეობით იფუნქციონირებს (რომელიც ათეული წლების მანძილზე იმუშავებს), კუნთები კი მცირეგაბარიტიან ბირთვულ ძრავებზე დაყრდნობით იმუშავებენ. ამავდროულად ე-არსების კლონირება პროფესორ ბოლონკინის მოსაზრებით შესაძლებელი იქნება სისხლის იმ წვეთების მეშვეობით, რომლებიც გენეტიკურ მონაცემთა ბაზაში იქნება შენახული: დრო აღარ დაიხარჯება ადამიანის ბავშვობასა და მომწიფებაზე, მისი განათლების პროცესზე, ადამიანი თვალის დახამხამებაში გაივლის ვირტუალური სამყაროს ყველა შესაძლო სიამოვნების დონეებს, ყოფილ ადამიანს - ე-არსებას - არ ექნება მოთხოვნილება საკვების, ჰაერის, საცხოვრებლის, ძილის, დასვენებისა და სუფთა ეკოლოგიური გარემოს მიმართ. იგი სურვილისამებრ შეძლებს თავისი იერსახის შეცვლას, იქნება წარმოუდგენელი ძალით აღჭურვილი, შეეძლება კედლებს მიღმა ჭვრეტა, ექნება დიდ მანძილზე თავის მსგავს არსებებთან ურთიერთობის უნარი, წამებში შეძლებს საკუთარ ტვინში ნებისმიერი ცოდნის მოთავსებას, ექნება გიგანტურ მანძილებზე გადაადგილების უნარი, დამოუკიდებლად გამრავლება უსაზღვრო რაოდენობით (თავისი თავის კოპირების გზით), თავის ასლებს კი ცალკე შეინახავს, ასევე ექნება სხვა სხეულის დაქირავების შესაძლებლობა... რა სამწუხაროა, რომ პროფესორი „სამყაროს მფლობელს“ კი არა, ეშმაკს ასახავს!

ასე რომ, შეიძლება მალე ახდეს საშინელი და შეშზარავი სიტყვები: „სახელი ისეთი გაქვს, თითქოს ცოცხალი იყო, და მკვდარი კი ხარ“ (გამოცხ. 3:1).

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ძლიერი რეგიონები

დუშეთი

ერთობლივი რეგიონული პროექტი COMUS

21 მარტს, დუშეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მიწვეულ იქნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, სადაც გაიმართა ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი რეგიონული პროექტ COMUS-ის შესახებ დონორთა და ეროვნულ დაინტერესებულ მხარეთა საინფორმაციო შეხვედრა. ქალაქ დუშეთში ჩატარებული და მიმდინარე აქტივობების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა გამგებლის პირველმა მოადგილემ - ბექა ღარიბაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შერჩეული პრიორიტეტული ქმედებები და სამომავლო ხედვები. მიმდინარე პროცესებისა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე, ისაუბრეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა - ვაჟა ჩოხელმა და პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა - ზაქარია ქუცნაშვილმა. შეხვედრას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების გარდა ესწრებოდნენ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ეროვნული უწყებების წარმომადგენლები.

დასუფთავების აქცია დუშეთის მუნიციპალიტეტში

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურმა ჯეოსელის პროექტის „ქვეყნის მოვლა მობილური ინტერნეტის“ ფარგლებში, მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში მოაწყო დასუფთავების აქცია.

აქციის მიმდინარეობა დაათვალიერა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა - ვაჟა ჩოხელმა.

ბაღდათი საგაზაფხულო სამუშაოებისთვის მზად არის

საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ტექნიკის მზადყოფნისა და ტარიფების დადგენაზე იმსჯელეს შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ გოგსაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაღდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი კოტე ჯავახია და შპს „მექანიზატორის“ ზესტაფონის სერვის-ცენტრის წარმომადგენლები.

„მექანიზატორმა“ ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის გამოყო დაახლოებით 20 ტრაქტორი, რომლებიც უკვე ბაღდათშია და შესაძლებელია სამუშაოების დაწყება.

ხარაგაული – მასშტაბურ პროექტზე 800 მილიონი დოლარი დაიხარჯება

ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთის მონაკვეთის 42 კმ სიგრძის 4-ზოლიანი გზა 90-მდე ხიდსა და 40-მდე გვირაბს მოიცავს. საპროექტო სამუშაოები უკვე დაწყებულია. პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება 800 მილიონი დოლარია, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება.

„ეს არის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზა და იმავდროულად, მას აქვს სატრანზიტო ფუნქცია ჩვენი მეზობელი ქვეყნებისთვის. ეს ჩვენი სივრცითი განვითარების გეგმის ძალიან მნიშვნელოვანი მონაკვეთია და მიხარია, რომ ამ პროექტებში წინ კარგი სიჩქარით მივიწევთ“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე, რომელზედაც ეს პროექტი განიხილებოდა.

დედოფლისწყარო – გამგებელი არბოშიკის მოსახლეობას შეხვდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ არბოშიკის მცხოვრებლებს შეხვდა. მან ადგილობრივი მოქალაქეებისგან პირადად მოისმინა ინფორმაცია იმ პრობლემებზე, რომლებიც სოფლის მოსახლეობას აწუხებს. ნიკოლოზ ჯანიაშვილი არბოშიკელებს სოციალური, ინფრასტრუქტურული და სხვა საკითხების უახლოეს პერიოდში მოგვარებას დაჰპირდა.

გამგებელი სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღს ესტუმრა, თანამშრომლებს გაესაუბრა, ბავშვები მოინახულა და შენობა დაათვალიერა.

ფოთი – მალთაყვის განაშენიანების პროექტი

მალთაყვის რეკრეაციულ ზონაში, ზღვის სანაპირო ზოლზე მიმდინარეობს ბულვარის მშენებლობა-კეთილმოწყობა; დაწყებულია ცენტრალური საავტომობილო ტრასიდან ზღვის ნაპირთან მისასვლელი გზის მშენებლობა, რომლის სიგრძე 570 მეტრია, სიგანე — 6-8 მეტრი.

სანაპირო ზოლთან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ქონებას სასტუმროს ასაშენებლად. სამომავლოდ სასტუმროს ექნება მიმზიდველი ადგილმდებარეობა, რადგანაც ის განთავსდება კეთილმოწყობილ მალთაყვის ბულვართან ახლოს და პალიასტომის ტბასთან.

სანაპირო ზოლის მშენებლობის პირველი ეტაპი სრულდება. უკვე მოწყობილია 3 კილომეტრამდე სიგრძის ახალი პლაჟი, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ მალთაყვას 7-კილომეტრიანი კეთილმოწყობილი პლაჟი ექნება. პროექტი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტის პირდაპირ ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 25 ათას ადგილობრივ მცხოვრებს, ხოლო სეზონურად დამატებით 20 ათას დამსვენებელს, რაც პერსპექტივაში მზარდი ციფრია.

„ეს გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკურორტო მიმართულება. ჩვენ სერიოზული გეგმები გვაქვს ფოთთან დაკავშირებით. ეს არის ისტორიული ქალაქი, რომლის პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ“, — აღნიშნა პრემიერმა.

პროექტი 2018 წელს დასრულდება.

აბაშის მუნიციპალიტეტის 14 სოფელში სამშენებლო სამუშაოები განახლდა

აბაშის მუნიციპალიტეტში 2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის სამშენებლო სამუშაოები განახლდა.

პროექტი ითვალისწინებს სოფლებში წყალსაწრეტი არხების, ნაპირსამაგრი, დიდე-ბოგირების, წყლის ჩამკეტი ნაგებობის, ქვაფენილების, პირუტყვის სარწყულებლების, მოსაცდელებისა და არტეზიული ჭაბურღილების მოწყობას.

ეს სოფლებია: სამიქაო, პირველი მაისი, ცილორი, ქოლობანი, გუგუნაყათი, ძველი აბაშა, გალმა ზანათი, ნაესაკოვო, სუჯუნა, სეფიეთი, მარანი, გამოღმა კოდორი, ონტოფო.

რძის გადამამუშავებელი საწარმო მარტვილში

მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გიორგი ხანიშვილმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშველაძემ, მუნიციპალიტეტის გამგებელ ალექსანდრე გრიგალავასთან, საკრებულოს თავმჯდომარე ალექს გაბისონიასთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, რძის გადამმუშავებელი საწარმო დაათვალიერეს.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაჯახაოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ახალი პროდუქტი“ ფუნქციონირებს. კოოპერატივი 2016 წელს შეიქმნა და მასში მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხაინდრაოს, ნაჯახაოს, ონოღიის, ვედიდკარისა და ბანძის 62 მეპაიეა გაერთიანებული, რომელთა საკუთრებაშია 475 ფური.

კოოპერატივი „ახალი პროდუქტი“ სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ ყველის წარმოებასა და შეფუთვას ადგილზე გეგმავს, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას კი ადგილობრივ ბაზარზე მოახდენს.

პრემიერი სენაკელ ახალგაზრდა გამომგონებლებს შეხვდა

იაზროვნეთ არასტანდარტულად, ყოველთვის იფიქრეთ, რომ არ აირჩიოთ ჩვეულებრივი გზა, — ასე მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 2016-2017 წლების ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში გამარჯვებულ ახალგაზრდა გამომგონებლებს, რომლებსაც ზუგდიდის ტექნოლოგიურ პარკში შეხვდა. შეხვედრას საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია და სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე ესწრებოდნენ.

გამარჯვებული გუნდის Smart Kids-ის წევრებმა, წმ. ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლეებმა, პრემიერს წარუდგინეს თავიანთი პროექტი „გეოლოგიური საფრთხეები“.

ინოვაციური პროექტი არის შეტყობინების სისტემა მეწყერსაშიში ზონებისთვის, გამოირჩევა განსაკუთრებული სიზუსტით, საიმედოობითა და სტაბილურობით. ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში გამარჯვების შედეგად, გუნდი 2017 წლის 1-5 მაისს მონაწილეობას მიიღებს შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული სააგენტოს (NASA) უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში.

ფოთი

ძლიერი საქართველოსთვის

სენაკი

პრემიერმა ახალგაზრდა გამომგონებლებს მიღწეული წარმატება მიულოცა და აღნიშნა, რომ ახალი ტექნოლოგიური პარკი ნიჭიერ ახალგაზრდებს მსგავსი ინოვაციური იდეების ხორცშესხმაში შეუწყობს ხელს.

ჩხოროწყუ – სოფელ ლესიჭინეში ახალი საავტომობილო ხიდი აშენდება

მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა, სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალისტებს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის 26-ე კმ-ზე მდ. ოჩხომურზე სახიდე გადასასვლელის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში. ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები

ბორჯომი – სოფელ ჩითახევთან ახალი ხიდი შენდება

სოფელ ჩითახევთან, ცენტრალური გზის მიმდებარედ, ახალი დაკიდული ხიდის მშენებლობა დაიწყო. სამუშაოების დასრულების შემდეგ მას სპეციფიკური დანიშნულებაც ექნება. ხიდით სპორტის ექსტრემალური სახეობის — ჯომარდობის მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენები ისარგებლებენ. ეს პროექტი გაუმჯობესებს ჯომარდობისთვის განკუთვნილ შესაბამის სპორტულ ინფრასტრუქტურას, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

ხიდის მშენებლობა აპრილის ბოლოსთვის დასრულდება. სპორტსმენების გარდა ხიდით სარგებლობას შეძლებენ ადგილობრივებიც.

ბორჯომის ხეობაში მდინარე მტკვარი მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენებისთვის ერთ-ერთ მიმზიდველი ადგილია. აღსანიშნავია, რომ წელს ბორჯომი ჯომარდობაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, რაც, სპორტის ამ სახეობის განვითარების გარდა, ხელს შეუწყობს კურორტისადმი ინტერესის ზრდასა და ტურიზმის განვითარებას.

საგაზაფხულო სამუშაოები რუსთავში

რუსთავის მერიის ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“ ქალაქის სხვადასხვა უბანში საგაზაფხულო სამუშაოებს ატარებს, რომლის ფარგლებშიც, ამ დროისთვის, თბილისის ქუჩაზე, შუა გამყოფ ზოლში 200 ძირი კვიპაროსის ნერგი ირგვება.

სეზონური სამუშაოების ფარგლებში, ქუთაისის ქუჩაზე 200 ძირი ალვის ხის ნერგი, კულტურისა და დასვენების პარკში პავლოვნიისა და კაკლის ნერგები, კოსტავას ქუჩაზე კი დეკორატიული მარადმწვანე ბუჩქები და სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეები ირგვება.

ბოლნისში ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ე. წ. ანდრეევკის დასახლებაში ხელოვნურსაფრიანი მოედნის შეკეთება მიმდინარეობს. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სპორტული მოედნის დაზიანებული ღობისა და ხელოვნური საფარის დემონტაჟი უკვე დაიწყო. სრულად აღდგება მაყურებლის ტრიბუნა, მოეწყობა ახალი ხელოვნური საფარი და შეიცვლება ლითონის შემოღობვაც.

რუსთავი

სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ორ თვეში დასრულდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

დმანისში სპორტული დარბაზი გაიხსნა

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ ქალაქ დმანისში სპორტული დარბაზის გახსნის ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში, რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ახალგაზრდა სპორტსმენებსაც გაესაუბრნენ და მათ პროფესიული წარმატებები უსურვეს.

დარბაზისთვის შესაბამისი ფართი მოიძია და სარეაბილიტაციო სამუშაოები უზრუნველყო დმანისის მუნიციპალიტეტმა, ხოლო სავარჯიშო ინვენტარით საქართველოს ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ აღჭურვა.

გორი – სასმელი წყლის მომარაგების ახალი სისტემა სოფლებში ზემო სობისსა და ქვემო სობისში

უკვე დასრულებულია სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა, შიდა ქსელზე დამონტაჟებულია ინდივიდუალური მრიცხველები, მოეწყო ასევე ჭაბურღილები, რეზერვუარები და საქლორატოროები.

სოფლებში სასმელის წყლის სისტემა ამ დრომდე არ არსებობდა. ადგილობრივები სარგებლობდნენ ხელოვნური ჭებით, რომლებიც სეზონურად შრებოდა.

პროექტის ერთობლივი მხარდამჭერები არიან: აშშ-ის საერთაშორისო სააგენტო (USAID), ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE), ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გორის მუნიციპალიტეტი და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

გორი

სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. 14 790 მილიონი ლარის ღირებულების პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს, ითვალისწინებს 25 კმ მაგისტრალური არხის, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის, ალგეთის წყალსაცავის კაშხლისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მონიტორინგის სისტემის აღდგენას, მაგისტრალური არხის „ხაიშისა“ და „მარაბდის“ მასივებზე წყალგამყვანი მილსადენების რეაბილიტაციას.

ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში: ტბისი, ფარცხისი, საღრაშენი, ბოგვი, ჯორჯიაშვილი, შავსაყდარი, ასურეთი, ბორბალო, ღოუბანი, ვაშლოვანი, ერტისი, მუხათი, კოდა, კოდის იგპ დასახლება, მარაბდა, ქოთიში, ხაიშში არსებულ წყალგამყვან მილსადენებზე.

პროექტის პირველ ეტაპზე გათვალისწინებული სამუშაოები მაისის ბოლოს დასრულდება. პროექტის განხორციელების შედეგად, წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდება 8 300 ჰა-ზე.

შუახევი – წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობაზე 5 მილიონი ლარი დაიხარჯება

ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში 29 კმ-იანი ფურტიო-ბუთურაული-ნენიის წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობს.

პროექტი სამწლიანია და მისი ღირებულებაა 4 მლნ. 916 999 ლარი. მაგისტრალის მოყვანა ზღვის დონიდან 1260 მეტრის სიმაღლიდან, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რაქვთიდან ხორციელდება და დასრულებული პროექტით შუახევის მუნიციპალიტეტის სამი სოფლის ფურტიოს, ბუთურაულის, ნენიის მოსახლება ისარგებლებს.

პროექტით დაგეგმილია წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა რაქვთაში, სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მშენებლობა ნენიაში, ფურტიოში, ბუთურაულში.

სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით 2017 წლის დეკემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს.

ამ დროისთვის მიწის გრუნტის დამუშავება და ლითონის მილების ჩაწყობა-შედუღებითი სამუშაოები მიმდინარეობს სხალთის მიმართულებით.

მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე პირველ მოადგილესთან, ავთანდილ დიასამიძესთან და შესყიდვების სამსახურის უფროსთან, ომარ აბუსელიძესთან ერთად გაეცნო.

„თუ თქვენ ბედნიერ ადამიანს ხედავთ, თქვენი ტვინი მაშინვე იღებს ბრძანებას: „გაიუმჯობესე განწყობა!“

მეცნიერი, რომელმაც სარკისებური ნეირონების საიდუმლოება ამოხსნა, ადამიანებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებაზე, ინსულტისა და აუტიზმის მკურნალობის ახალი მიდგომების შესახებ საუბრობს.

ჯაკომო რიზოლატი — იტალიელი ნეირობიოლოგი. 1992 წელს პროფესორმა რიზოლატიმ რევოლუციური აღმოჩენა გააკეთა, რომელმაც გადატრიალება მოახდინა ფსიქოლოგიასა და იმ მეცნიერებებში, რომლებიც ტვინს შეისწავლიან. მან აღმოაჩინა სარკისებური ნეირონები, ტვინის უნიკალური უჯრედები, რომლებიც მაშინ აქტიურდება, როდესაც ჩვენ სხვა ადამიანების ქმედებებს ვადევნებთ თვალს. ეს უჯრედები სარკესავით აირეკლავენ სხვა ადამიანების ქცევას და ჩვენი ტვინი ისე აღიქვამს ყოველივეს, თითქოს ჩვენ ვასრულებთ ამ ქმედებებს. ამჟამად ჯაკომო რიზოლატი პარმის უნივერსიტეტის ნევროლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს.



ცდა ჭიქა წყლით

— ნახეთ, მე ხელში ჭიქა წყალს ვიღებ, — იწყებს ინტერვიუს პროფესორი რიზოლატი. თქვენ ხვდებით, რომ მე ჭიქა ავიღე, ასე არ არის? მაგრამ არა იმიტომ, რომ ფიზიკის კანონები გაგახსენდათ, არამედ ჩემი ქმედების გაგება მყისიერად იწყება სარკისებური ნეირონების — თქვენი ტვინის განსაკუთრებული უჯრედების — წყალობით, რომლებიც ავტომატურად, ქვეცნობიერად ამოიცნობენ ქმედებას, რომელსაც ვხედავთ. უფრო მეტსაც გეტყვით: ჩვენ რომ თქვენი ტვინის სკანირება მოვახდინოთ, დავინახავთ, რომ ჩემი ქმედების დანახვისას თქვენს ტვინშიც იგივე ნეირონები გააქტიურდნენ, თითქოს თქვენც იგივე ქმედებას ასრულებთ.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. საფრანგეთში ჩაატარეს ცდა: მოხალისეთა ერთ ჯგუფს სთხოვეს გამოეხატათ სხვადასხვა ემოცია — სიხარული, ნაღველი, შემდეგ აყნოსინეს ნივთიერება, რომელსაც ცუდი სუნი ჰქონდა და მათ სახეზე ზიზღი გამოეხატათ. ეს ყველაფერი ფოტოებზე აღბეჭდეს. ფოტოები ცდისპირთა სხვა ჯგუფს აჩვენეს და დააფიქსირეს მათი რეაქცია. ფოტოებზე ემოციების დანახვისას მოხალისეების ტვინშიც იმავე ნეირონების აქტივიზირება ხდებოდა, რა ემოციასაც ფოტოებზე ხედავდნენ. ეს ცდა ერთ-ერთი დადასტურებაა იმისა, რომ გარდა სარკისებური — „მოქმედების“ — ნეირონებისა, რომლებსაც მოტორულ ნეირონებსაც უწოდებენ, არსებობს კიდევ ემოციური სარკისებური ნეირონები. სწორედ ისინი გვეხმარებიან, რომ ქვეცნობიერად, ყოველგვარი აზრობრივი ანალიზის გარეშე, მხოლოდ მიმიკისა და ჟესტების დანახვისას გავიგით სხვა ადამიანების ემოციები. ასე ხდება იმიტომ, რომ ტვინში „არეკვლის“ წყალობით ჩვენც იგივე შეგრძნებებს განვიცდით.

გულგრილ ადამიანებს ნეირონები არ ჰყოფნით?

— მაგრამ ადამიანები ხომ სხვადასხვაგვარები არიან: კეთილები, მგრძნობიარეები. არსებობენ გულგრილი ადამიანებიც, რომლებზეც არაფერი მოქმედებს. მათ ემოციური სარკისებური ნეირონები არ გააჩნიათ?

— არა მგონია. სარკისებური ნეირონების გარდა, არცილებლად მუშაობს ჩვენი ცნობიერება, ნებისყოფა და მათი საშუალებით შეიძლება ნაწილობრივ შევაკავოთ ის გრძნობები და ემოციები, რომლებსაც სარკისებური ნეირონები იწვევს.

კიდევ უფრო მეტ როლს ასრულებს საზოგადოებაში მიღებული ნორმები. თუ საზოგადოება ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის იდეოლოგიას ემხრობა, მაშინ თქვენ მოგიწევთ იყოთ ეგოისტი, რადგან ითვლება, რომ სწორედ ასე შეძლებთ წარმატების მიღწევას. ასეთ შემთხვევაში თქვენი სარკისებური ნეირონების სისტემის როლი ქვეითდება ნებისყოფი გამოვლინებით, აღზრდით და ჩვეული ქცევით.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციას. პრინციპი — გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, ბუნებრივი წესია, რომელიც ადამიანის ბიოლოგიურ მოწყობას ასახავს და სარკისებური ნეირონების მუშაობაზეა დაფუძნებული. თუ შენ ადამიანები არ გიყვარს, საზოგადოებაში ცხოვრება ძალიან გაგიჭირდება.

„ნუ იქნებით მამაკაცებზე ნაწყენი“

— ქალების ემოციურ სისტემაში სარკისებური ნეირონების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცებისაში. ამით აიხსნება ქალების მგრძნობელობა, გაგებისა და თანაგრძნობის უნარი. ჩაატარეს ექსპერიმენტები, როცა ორივე სქესის წარმომადგენლებს უჩვენეს, როგორ იტანჯებოდა ტკივილისგან სხვა ადამიანი, ქალის ტვინი უფრო მძაფრად რეაგირებდა, ვიდრე მამაკაცის. ეს ევოლუციის შედეგია: ბუნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დედა, რომელიც ბავშვთან ყველაზე მეტ დროს ატარებს, ემოციურად გახსნილი იყოს, შეეძლოს თანაგრძნობა, უხაროდეს და ამგვარად, სარკისებური პრინციპით, დაეხმაროს პატარას, რათა მას ემოციები განუვითარდეს.

როგორ შეუძლია აზრს ავადმყოფის ფეხზე დაყენება

— თქვენ სარკისებური ნეირონები 20 წელზე მეტი წნის წინათ აღმოაჩინეთ, მას შემდეგ, სამედიცინო გამოკვლევების გარდა, ალბათ, იყო მცდელობები, თქვენი აღმოჩენა მედიცინაში გამოგეყენებინათ?

— დიახ, ჩვენ აღმოჩენის პრაქტიკულ გამოყენებაზე ვმუშაობთ,

მათ შორის, მედიცინაშიც. ცნობილია, რომ მოტორული სარკისებური ნეირონები გვაიძულებენ, აზრობრივად იგივე მოქმედება გავიმეოროთ, რასაც ვხედავთ, მათ შორის ტელე- თუ კომპიუტერის ეკრანზე. ეს ტიპური ნეიროეფექტია, ამაზეა დაფუძნებული ინსულტისშემდგომი, ალცჰეიმერის და სხვა დაავადებების აღდგენის ტექნოლოგიები, რომელთა დროსაც ადამიანს მოძრაობა ავიწყდება.

ამჟამად ჩვენ ვატარებთ ექსპერიმენტებს იტალიასა და გერმანიაში. მათი არსი შემდგომში მდგომარეობს: თუ პაციენტის ნეირონები საბოლოოდ არ არის განადგურებული და მხოლოდ მათ მუშაობაშია შეფერხება, მაშინ, გარკვეული მოქმედებების ჩვენებისას, შესაძლებელია ნერვული ოჯრედების აქტივირება და მოქმედების „არეკვლა“, რაც ნეირონების ამუშავებას შეუწყობს ხელს. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა შესამჩნევი შედეგები გვიჩვენა ინსულტისშემდგომ სარეაბილიტაციო მკურნალობაში.

მაგრამ ყველაზე საოცარი შედეგი მაშინ გამოჩნდა, როდესაც ეს თერაპია ავტოავარიის შედეგად დაზარალებულების მკურნალობისას გამოვიყენეთ. როდესაც ადამიანს თაბაშირს ადებენ, მისი მოხსნის შემდეგ იგი, ფაქტობრივად, თავიდან იწყებს სიარულს. ხშირად პაციენტი ტკივილს განიცდის, კოჭლობს. ამის აღმოფხვრას დიდი დრო სჭირდება. ხოლო თუ ადამიანს ვუჩვენებთ ფილმს, რომელშიც შესაბამისი მოძრაობებია, დაზარალებულის ტვინში აქტიურდება მოძრაობის ნეირონები და ისინი რამდენიმე დღეში ნორმალურად სიარულს იწყებენ. ჩვენთვისაც, მეცნიერებისთვისაც კი ეს სასწაულს ჰგავს.

„დამსხვრეული სარკეები“

— პროფესორო, რა ხდება, თუ ადამიანს თავად ეს სარკისებური ნეირონები დაუზიანდა? რომელი დაავადებების დროს ხდება ეს?

— ამ ნეირონების დაზიანება ადვილად არ ხდება, ისინი თავის ტვინის ქერქის მთელ ზედაპირზეა განლაგებული. თუ ადამიანს ინსულტი ემართება, ამგვარი ნეირონების მხოლოდ ერთი ნაწილი ზიანდება. მაგალითად, ცნობილია, რომ თუ ადამიანის ტვინის მარცხენა მხარეა დაზიანებული, იგი სხვების მოქმედებებს ვერ აღიქვამს.

სარკისებური ნეირონების სერიოზული დაზიანებები გენეტიკურ დარღვევებთანაა დაკავშირებული. ყველაზე ხშირად ეს აუტიზმის დროს ხდება. რადგან ამ ადამიანების ტვინში დაზიანებულია გარშემომყოფთა მოქმედებისა და ემოციების „ამრეკლავი“ მექანიზმი, აუტისტები, უბრალოდ, ვერ იგებენ, რას აკეთებენ სხვა ადამიანები. მათ არ შეუძლიათ თანაგრძნობის, სიხარულის გამოხატვა, რადგან არ განიცდიან მსგავს ემოციებს. ეს ყველაფერი მათთვის უცხოა, აშინებთ და ამიტომ აუტიზმით დაავდებულები იკეტებიან საკუთარ თავში და ურთიერთობებს გაურბიან.

— რადგან ამ დაავადების მიზეზს მიაგნეს, მეცნიერები უფრო ადვილად შეძლებენ მისგან გამოჯანმრთელების საშუალებების აღმოჩენას?

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუტისტი ბავშვების ბოლომდე გამოჯანმრთელება შესაძლებელია ძალიან პატარა ასაკში. ასეთ ბავშვებთან ძალიან ადრეულ ასაკში უნდა გამოვავლინოთ ძლიერი გრძნობები და სენტიმენტალობაც კი: დედა და სპეციალისტი ბევრს უნდა ელაპარაკონ მას, შეეხონ, რათა განუვითარონ როგორც მოტორული, ასევე ემოციური ჩვევები. ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთ ბავშვთან შეჯიბრის ტიპის თამაშები, რომლის დროსაც წარმატებას მხოლოდ ერთობლივი ქმედებით მიაღწევენ. მაგალითად, ბავშვი მარტო ვერ გადაწევს ბაგირს, ხოლო დედასთან ერთად გადმოძალავენ მას და პრიზსაც მიიღებენ. ამგვარად, ბავშვი ხვდება, რომ თუ ერთად ითამაშებენ, ეს საშიში კი არ არის, არამედ სასარგებლოა.

როგორ გამოვიკეთოთ განწყობა?

— პროფესორო, თუ ჩვენ ქვეცნობიერად აღვიქვამთ სხვა ადამიანების ემოციებს, გამოდის, რომ ფილმის ან რეპორტაჟების ყურებისას ჩვენ იგივე ემოციებს განვიცდით? მაგალითად, თუ ცუდ ხასიათზე დავდექით, გამოვიმუშავებთ სტრესის ჰორმონ კორტიზოლს, რომელიც ძილს გიფრთხობთ, მეხსიერებას აქვეითებს და ფარისებრი ჯირკვლის მუშაობას აფერხებს? მაგრამ, მეორე მხრივ, ალბათ, შესაძლებელია, სარკისებური ნეირონების მუშაობის გამოყენებით განწყობის ამაღლება?

— თქვენ მართალი ხართ. თუ თქვენ პოზიტიურ, სიცოცხლის მოყვარულ ადამიანებთან ურთიერთობთ ან ფილმს უყურებთ, რომელშიც ასეთი გმირი იღებს მონაწილეობას, თქვენ იგივე ემოციები გეუფლებათ. ხოლო თუ გინდათ, რომ ვინმეს კარგი განწყობა შეუქმნათ, ფართოდ გაულიმეთ მას და ეს აუცილებლად გამოგივათ.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

სახალხო მკურნალი
(მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ეწვიეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63